www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 7 აგვისტო, 2013 წელი. | №3339 (146) | ფასი 50 თეთრი

გია გაჩეჩილაძე უმრავლესობას ბოიკოტს უცხადებს, მაგრამ გასვლისგან თავს იკავებს

გუშინ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხის განხილვა უმრავლესობის წევრებს შორის დაპირისპირების მიზეზი გახდა.

პარლამენტი დაჩქარებული წესით განიხილავს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტს, რომლის თანახმად, კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის სტატუსის მქონე 14 პოლიტიკური პარტიის წლიური საბაზისო დაფინანსება 150 000-დან 300 000 ლარამდე გაიზრდება. ხოლო, თუ არჩევნებში მონაწილე პარტიას ან საარჩევნო ბლოკს ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივი თვითმმართველობის საერთო არჩევნებში მიღებული აქვს ამომრჩეველთა ხმების 6 პროცენტი ან მეტი, მისი საბაზისო დაფინანსება გაორმაგდება.

კანონპროექტი იმ პარტიების დაფინანსებასაც ითვალისწინებს, რომლებიც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდნენ, მაგრამ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისთვის დადგენილი ბარიერი ვერ გადალახეს - ისინი 150 000 ლარის ოდენობით ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ. მათ შორის არიან პარტიები, რომლებიც 2010 წლის მუნიციპალური არჩევნებზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის სტატუსს ჯერ კიდევ ინარჩუნებენ.

პროექტი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის შექნილი ინტერფრაქციული ჯგუფის ფორმატში ხელმოწერილია. საპრეზიდენტო არჩევნების წინ სულ 18 პოლიტიკური პარტია დაფინანსდება.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ბიძინა ივანიშვილი - ქართველებს და რუსებს ერთმანეთი უყვართ

„პროგრესი პრაგმატიზმის გზით“ - ამ სათაურით აქვეყნებს ამერიკული გამოცემა «უოლ სტრიტ ჯორნალი» საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის წერილს.

პრემიერ-მინისტრი წერს, რომ სკეპტიკოსების უგულებელსაყოფად და დასახული მიზნების მისაღწევად, საქართველოს ხელისუფლებას კვლავაც სჭირდება საერთაშორისო მხარდაჭერა. აქვე ივანიშვილი აღნიშნავს, რომ მისი პოლიტიკაში მოსვლის მიზეზი ყველა ქართველის ცხოვრების გაუმჯობესებაა და ამ კუთხით „ჩვენ სწორ გზას ვადგავართ.“

«უოლ სტრიტ ჯორნალში» გამოქვეყნებულ წერილში ივანიშვილი აცხადებს, რომ „ქართული ოცნება“ ოპოზიციასთან თანამშრომლობას ცდილობს და ქვეყნის მოდერნიზაციისა და სრული დემოკრატიისათვის პრაგმატული პოლიტიკისა და კონკრეტული რეფორმების გატარება სურს. პრემიერის თქმით, ის აპირებს, რომ ქვეყანა დემოკრატიის მაგალითად და ევროპისა და აშშ-ს საიმედო პარტნიორად აქციოს.

„პრაგმატულობა“ ნიშნავს ცივი ომის რიტორიკის დასრულებასა და იმ უპასუხისმგებლო ქმედებებისთვის თავის არიდებას, რომელმაც 2008 წლის კონფლიქტამდე მიგვიყვანა. რუსეთთან ვაჭრობის განახლება ნდობის აღდგენას ნიშნავს, თუმცა ჩვენ ურყევი ვრჩებით რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დაბრუნების საკითხში.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ფსკოვში ოპოზიციონერი მღვდელი მოკლეს

ივა შილაკაძე

ფსკოვში ორშაბათს, საღამოს, ფსიქიკურად გაუწონასწორებელმა მოსკოველმა ახალგაზრდამ მღვდელი პავლე ადელგეიმი მოკლა. ეჭვმიტანილი დაკავებულია. დაკავებამდე მან თავიც დაიჭრა, რის გამოც ოპერაცია გაუკეთეს და ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა მიერთებული. მამა პავლე ადელგეიმი, რომელსაც 1 აგვისტოს 75 წელი შეუსრულდა, ხშირად აკრიტიკებდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში შექმნილ მდგომარეობას და მის იერარქებს.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

თურქეთის გენშტაბის უფროსს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს

თურქეთის არმიის გენერალური შტაბის ყოფილი უფროს ილკერ ბაშბუგს სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზაციის ბრალდებით სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. მოკლედ ამის შესახებ გუშინ უკვე წერდა „24 საათი“, თუმცა ეს კონკრეტული განაჩენიც და მთლიანად „ერგენეკონის საქმეც“, რომლის ფარგლებშიც რამდენიმე ასეული ადამიანი დააპატიმრეს, თურქეთის ზომიერ ისლამისტურ მთავრობასა და სამხედროებს შორის დაპირისპირების ჯაჭვის გაგრძელებაა.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6452⇓
1 ევრო	2.0679⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5746⇓
1 თურქული ლირა	0.9116⇓
100 რუსული რუბლი	5.1083⇓

თბილისი	33°C - 21°C
ქუთაისი	29°C - 18°C
თელავი	33°C - 16°C
ზუგდიდი	28°C - 17°C
ბათუმი	26°C - 17°C

ნავთობი	2.75	-0.01	-0.43%
გაზი	2.91	+0.02	+0.55%
ოქრო	1,618.60	-3.20	-0.20%
ხორბალი	799.25	+0.00	+0.00%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

იგორ კოკოშკოვი: ევრობასკეტს ფორმის პიკში უნდა შევხვდეთ

გრიგოლ ხოშტარია

სლოვენიური შეკრების პირველი ეტაპი დასრულებულია. საქართველოს ეროვნული ნაკრები უკვე იტალიაშია, სადაც დღეიდან აგვისტოს ჩათვლით საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას და სამ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს პოლონეთთან, ისრაელთან და მასპინძელ იტალიასთან. ტურნირის დასრულების შემდეგ ქართველები სლოვენიაში დაბრუნდებიან და შეკრებას პოდჩეტრტეკის სპორტკომპლექს «ტერმე ოლიმიაში“ 13 აგვისტომდე გააგრელებენ.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

კოკოშკოვის თქმით, ევრობასკეტს ფორმის პიკში უნდა შევხვდეთ

„ვახშმის წვეულება„ და მისი სტუმრები

ჯუდი ჩიკაგო ფემინისტური არტის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და საინტერესო ხელოვანია. გასული საუკუნის 60 - იანების ბოლოსა და 70-იანების დასწყისში ამგვარი ხელოვნება, ფაქტობრივად, მამაკაცების მიერ დაპყრობილი“ მოდერნიზმის ალტერნატივად გადაიქცა. მისი ერთგვარი დასაწყისი გახლდათ ფემინისტების ამბოხი მუზეუმის იმ კურატორების წინააღმდეგ, რომლებსაც საგამოფენო დარბაზებში ქალი მხატვრების ნამუშევრების წარდგინება არ უნდოდათ.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

„საერთაშორისო გამჭვირვალობა" გიორგი მარგველაშვილს მიმართავს

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" კოალიცია „ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი მარგველაშვილს მოუწოდებს, წინასაარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება არ დაუშვას.

ამის შესახებ სტატია «საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს» ვებგვერდზე გუშინ გამოქვეყნდა.

სტატიაში სახელმწიფო უწყებების მიერ გამართულ ღონისძიებებზე გიორგი მარგველაშვილის დასწრების ფაქტებია მოყვანილი.

„სწორედ როგორც „ახალი პოლიტიკური სტანდარტების" დამკვიდრებისკენ გადადგმული ნაბიჯი, ისე ახსნა გიორგი მარგველაშვილმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრობიდან გადადგომა, მაშინ როდესაც მოქმედი კანონმდებლობა ამას არ ავალდებულებდა. პრეზიდენტობის მომავალი კანდიდატის ეს გადაწყვეტილება უდავოდ მისასალმებელია. თუმცა, მარგველაშვილის ერთგულება მის მიერვე გაცხადებული პოლიტიკის მიმართ, ეჭვქვეშ დააყენა ბოლო პერიოდში მისი საჯარო გამოჩენის სპეციფიკამ. მხედველობაში გვაქვს მისი დასწრების ფაქტი იუსტიციის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ «შრომის კოდექსის» ბეჭდური ვერსიის პრეზენტაციაზე და ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ თუშეთობის დღესასწაულზე ომალოში, სადაც მარგველაშვილმა ვერტმფრენით იმგზავრა. ჩვენთვის უცნობია, არის თუ არა სატრანსპორტო საშუალება სახელმწიფო საკუთრებაში.

პრეზიდენტობის მომავალი კანდიდატის საჯარო შეხვედრების საკითხი «თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის» უწყებათაშორის კომისიაზეც განიხილეს, სადაც ასევე საუბარი იყო იმაზე, რომ „ქართული ოცნების" დასახელებული კანდიდატი კულტურისა და რეინტეგრაციის სამინისტროების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსაც ესწრებოდა," - ნათქვამია სტატიაში.

ორგანიზაციის ინფორმაციით, მსგავსი ტიპის ღონისძიებებზე პრეზიდენტობის კანდიდატის დასწრება კანონდარღვევებს წარმოშობს, რადგან პარლამენტის მიერ სამი მოსმენით უკვე მიღებულ საარჩევნო კოდექსში ცვლილების თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ღონისძიებებზე აგიტაცია ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებად ითვლება. აგიტაცია კი, მოქმედი კოდექსით, შეიძლება, ნებისმიერი საჯარო მოქმედება იყოს, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის პირის არჩევას. საარჩევნო მიზნების მქონე პირის საჯარო ღონისძიებაზე დასწრება კი არის მისთვის პლატფორმის დათმობა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. ასევე ამ ქმედებით, კანდიდატი ზოგავს საკუთარ ფინანსებს, რაც შესაძლოა, განხილულ იქნეს, როგორც სახელმწიფო ორგანოს მხრიდან გაღებული უკანონო შემოწირულება.

„გიორგი მარგველაშვილი ამ დრომდე საპრეზიდენტო კანდიდატად ოფიციალურად დარეგისტრირებული არ არის და ასეთი ქმედებებისგან თავის შეკავების, ისევე როგორც მინისტრობიდან გადადგომის, ფორმალური ვალდებულება მას არ გააჩნია. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ წინასაარჩევნო კამპანია, ფაქტობრივად, უკვე დაწყებულია, საპრეზიდენტო კანდიდატად რეგისტრაცია კი მხოლოდ ფორმალურ პროცედურას წარმოადგენს, კოალიცია „ქართული ოცნების" პრეზიდენტობის მომავალ კანდიდატს მოვუწოდებთ, დაიცვას ეუთო-ს კოპენჰაგენის დოკუმენტი, რომლის თანახმად, სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის მკაფიო განსხვავება უნდა არსებობდეს, რაც ამ შემთხვევაში დარღვეული იყო. დაიცვას მის მიერვე დეკლარირებული მაღალი პოლიტიკური სტანდარტი და კანდიდატად ოფიციალურად დარეგისტრირებამდეც არ დაუშვას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, ვინაიდან ამომრჩევლისთვის ის უკვე აღიქმება, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატი," - ნათქვამია სტატიაში.

მარგველაშვილის პრესსამსახურმა «საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს» მიმართვას გუშინვე უპასუხა.

პრესსამსახურის ცნობით, გიორგი მარგველაშვილმა არაერთხელ აღნიშნა, რომ ყველა კანდიდატს საარჩევნო კამპანიის წარმოება თანაბარ პირობებში მოუწევს. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს საშუალებას აძლევს, იმავდროულად იყოს საპრეზიდენტო კანდიდატიც, მარგველაშვილმა აღნიშნული თანამდებობა მაინც დატოვა.

«კოალიცია «ქართული ოცნება» წარმოადგენს იმ ძალას, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა მხარდაჭერა გამოუცხადა. საარჩევნო კამპანია არ გასცდება კანონით დადგენილ თუ პოლიტიკური სტანდარტის ზღვარს, რომლის აღსრულებისთვისაც კოალიცია იბრძოდა და იბრძვის საქართველოს მოსახლეობასთან ერთად,» - აღნიშნულია განცხადებაში.

ოზურგეთის რაიონში ამნისტირებული პატიმარი ჩაცხრილეს

ოზურგეთის რაიონში, საკუთარ საცხოვრებელ სახლთან მამაკაცი ჩაცხრილეს. გარდაცვლილია გოჩა გუჯაბიძე, რომელიც რამდენიმე თვის წინ „ამნისტიის შესახებ" კანონის საფუძველზე საპატიმროდან გათავისუფლდა.

გავრცელებული ინფორმაციით, გუჯაბიძე საკუთარი საცხოვრებელი სახლის ჭიშკართან ჩაცხრილეს. ის საავადმყოფოში მალევე გადაიყვანეს, თუმცა გადარჩენა ვერ მოხერხდა.

შემთხვევის ადგილზე გუშინ მთელი ღამის განმავლობაში ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ.

გია გაჩეჩილაძე უმრავლესობას ბოიკოტს უცხადებს, მაგრამ გასვლისგან თავს იკავებს

პირველი გვერდიდან

კანონპროექტის მომხსენებელი ზაქარია ქუცნაშვილი განმარტავს, რომ კანონპროექტით წარმოდგენილი დაფინანსების წესი საბოლოო ფორმულას არ წარმოადგენს. მისი თქმით, უმრავლესობა, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციასთან ერთად, ადგილობრივი არჩევნების წინ პარტიათა დაფინანსების ახალ ფორმულას შეიმუშავებს. **„ახალმა ფორმულამ ბიუჯეტიდან პარაზიტი პარტიების დაფინანსება უნდა გამორიცხოს. პარტიისთვის საბიუჯეტო დაფინანსების მიღების პრინციპი არჩევნებში მონაწილეობა და შედეგის ჩვენება უნდა იყოს. ხოლო, შედეგი როგორ გაიზომება, ეს შეთანხმების საგანია,"** - თქვა ზაქარია ქუცნაშვილმა. მანვე დასძინა, რომ ზოგოერთი დაფინანსების მოქმედი ფორმულით დაფინანსებას იღებს, თუმცა მათ საზოგადოება საერთოდ არ იცნობს. მისივე თქმით, ზოგი პარტია დაფინანსებას ვერ იღებს, თუმცა ისინი ბევრად აქტიურები არიან („ლეიბორისტული პარტიას," „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას," ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიულ მოძრაობას", კახა კუკავას „თავისუფალ საქართველოს" და ჯონდი ბაღათურიას „ქართულ დასს" კვალიფიციური სუბიექტის სტატუსი არა აქვთ).

დაგეგმილი ცვლილებით ერთჯერად დაფინანსებას მხოლოდ „დემოკრატიული მოძრაობა" ვერ მიიღებს, რადგან ბურჯანაძის პარტია საპარლამენტო არჩევნებში არ მონაწილეობდა. ამავე მიზეზით ვერ მიიღებენ დაფინანსებას „მწვანეთა პარტია" და „სოციალ-დემოკრატები", რომელთა ლიდერები საპარლამენტო უმრავლესობის წევრები არიან.

„მწვანეთა პარტიის" თავმჯდომარე გია გაჩეჩილაძე მიიჩნევს, რომ კანონპროექტს დაფინანსების წესის დახვეწასთან საერთო არაფერი აქვს. გაჩეჩილაძემ პარლამენტის სხდომაზე ქუცნაშვილს მიმართა: **„არ მინდა, იმგვარად გაიგოთ, თითქოს რამე გვაქვს თქვენ საწინააღმდეგოდ. სერიოზულად იმუშავეთ და დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ, მაგრამ მაქვს ორი სერიოზული კითხვა. იქიდან გამომდინარე, რომ კანონპროექტით პრინციპი, ფორმულა და სხვა სამართლებრივი საკითხები არ იცვლება და იცვლება მხოლოდ ის, რომ გარკვეულ კატეგორიას - 14 პარტიას დაფინანსება ემატება, ხოლო რამდენიმე პარტიას ბონუსად დახმარება ეძლევა, რომ არ გარდაიცვალონ, ეს გადაწყვეტილება არის თუ არა პოლიტიკური? აშკარაა, რომ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და მას დაფინანსების წესის დახვეწასთან არავითარი საერთო არ აქვს. მაშინ, არის თუ არა პოლიტიკური გადაწყვეტილება ისიც, რომ ორი პოლიტიკური ორგანიზაცია („მწვანეთა პარტია" და „სოციალ-დემოკრატები"), რომლებმაც არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ არ მიიღეს, რომ „ქართული ოცნებისთვის" ბრძოლაში ხელი არ შეეშალა, დაფინანსების გარეშე რჩებიან? ჩვენ ორი პარტია პარლამენტში წარმოდგენილი ვართ ჩვენი პარტიის სახელით და ის არგუმენტი, რომ ჩვენ არჩევნებში მონაწილეობა არ მიგვიღია, სწორი არ არის. მაშ, სად ვართ ახლა და პარლამენტში როგორ ვართ წარმოდგენილნი, თუ არჩევნებში მონაწილეობა არ მიგვიღია?"**

საქმე ის არის, რომ „მწვანეთა პარტია" და „სოციალ-დემოკრატები" 6 პარტიისგან შემდგარი საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების" წევრები არ ყოფილან. „ქართული ოცნების" პროპორციულ სიაში მხოლოდ „მწვანეთა პარტიისა" და „სოციალ-დემოკრატების" თავმჯდომარეები შედიოდნენ, ისევე როგორც „ხალხის პარტიის" ლიდერი კობა დავითაშვილი.

გია გაჩეჩილაძე საპარლამენტო უმრავლესობას პროტესტს უცხადებს და არც უმრავლესობის და არც ფრაქცია „ქართული ოცნების" სხდომებს არ დაესწრება. თუმცა, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისადმი პატივისცემის გამო უმრავლესობიდან გასვლას არ აპირებს. გაჩეჩილაძე დასძენს, რომ უმრავლესობიდან „მწვანეთა პარტიის" გასვლა ქვეყანას საგარეო არენაზე დიდ ზიანს მიაყენებს, განსაკუთრებით კი ევროპარლამენტში.

გია გაჩეჩილაძეს ზაქარია ქუცნაშვილი პასუხობს. მის განმარტებით, დაფინანსების ფორმულის პრინციპები იმ პარტიების დაფინანსებას არ ითვალისწინებს, რომლებიც არჩევნებში არ მონაწილეობდნენ. ქუცნაშვილის თქმით, ეს პრინციპი რომ არა, სახელმწიფოს ქვეყანაში რეგისტრირებული ყველა პარტიის დაფინანსება მოუწევდა. **ამიტომ, თუ პარტიას რეგისტრაცია არ აქვს გავლილი, თუ შედეგები არ აქვს ნაჩვენები, მას, დღევანდელი სისტემით, ვერ წარმოეშობა თანხის მოთხოვნის უფლება,"** - ამბობს ქუცნაშვილი.

«მწვანეების" ლიდერისგან განსხვავებით, «სოციალ-დემოკრატების" ლიდერი და საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ჟორჟოლიანი უმრავლესობისა და ფრაქციის სხდომებისთვის ბოიკოტის გამოცხადებას არ აპირებს. ჟორჟოლიანის განცხადებით, «სოციალ-დემოკრატები" სერიოზულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს და ამას ხალხი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დაინახავს.

გია გაჩეჩილაძის პოზიცია მიუღებელია პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძისთვის. მისი შეფასებით, ცუდია, როდესაც გაჩეჩილაძის პოზიცია პარტიების დაფინანსებას უკავშირდება. **კანონპროექტს მხარი დავუჭირე, თუმცა მიმაჩნია, რომ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ბევრი რამ არის შესაცვლელი. არ ვფიქრობ, რომ პარტიები ბიუჯეტის დაფინანსებაზე უნდა იყვნენ დამოკიდებულნი და 500-კაციანი პარტია ბიუჯეტიდან დაფინანსების იმედით იქმნებოდეს. საკითხის ასე მწვავედ დაყენება, არა მგონია, მიზანშეწონილი იყოს,"** - ამბობს მანანა კობახიძე.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი ზურაბ აბაშიძე მიიჩნევს, რომ მომავალში ხალხი გადაწყვეტს, რომელი პოლიტიკური პარტია რა რაოდენობის დაფინანსებას მიიღებს. მისი თქმით, კარგია, რომ სახელმწიფო ხელს უწყობს მრავალპარტიული დემოკრატიის განვითარებას და პარტიებს ფუნქციონირების საშუალებას აძლევს.

პარლამენტმა კანონპროექტი პირველი მოსმენი, 91 ხმით, ერთხმად დაამტკიცა.

„კანონპროექტი პირველი მოსმენით თავის ვეტოიანად მიღებულია," - ხუმრობით აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა კენჭისყრის შემდეგ.

კანონპროექტის მე-2 და მე-3 მოსმენით განხილვა დღევანდელ რიგგარეშე სხდომაზე იგეგმება.

საკუთარი ინფორმაცია

იპოთეკით დატვირთული ქონების საკითხს პარლამენტი სექტემბერში დაუბრუნდება

იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონებისა და აღსრულების საქმეების შესახებ გადაწყვეტილების მიღება პარლამენტმა სექტემბრისთვის გადადო. გუშინ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა თქვა, რომ საკითხი იმაზე უფრო კომპლექსური და რთული აღმოჩნდა, ვიდრე კონკრეტული მოქალაქეების პრობლემაა.

უსუფაშვილი ამბობს, რომ კანონპროექტზე, რომელიც „სააღსრულებო წარმოებათა" შესახებ კანონში ცვლილებებს ანუ იპოთეკართა თემას ეხება, მთავრობის და პარლამენტის წევრები ინტენსიურ მუშაობას აგრძელებენ. მისი ინფორმაციით, იუსტიციის სამინისტროსა და მთავრობის სხვა უწყებებში მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს. **„როგორც ჩანს, სექტემბრისთვის საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი შემუშავდება, რომელიც ამ ტიპის საკითხებს დაარეგულირებს, რათა სამომავლოდ ასეთი მძიმე ვითარებები ნაკლებად შეიქმნას,"** - ამბობს უსუფაშვილი.

პარლამენტის თავმჯდომარე იმასაც აღნიშნავს, რომ პარლამენტის გადაწყვეტილებამ ახალი პრობლემები არ უნდა გამოიწვიოს. **„უნდა დავიცვათ საკუთრების უფლება, უნდა გავუფრთხილდეთ საბანკო სისტემის მდგრადობას, პროგნოზირებადობას, ეკონომიკურ წინსვლას. ასეთი ბევრი თემაა,"** - შენიშნავს უსუფაშვილი.

პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტით, იპოთეკით და სასესხო ვალდებულებებით დატვირთული უძრავი ქონების შესახებ არსებულ სააღსრულებო საქმეებზე აღსრულების პროცესი ექვსი თვით, 1 თებერვლამდე ჩერდებოდა. თუმცა, მთავრობის და ასევე საბანკო სექტორის კრიტიკული პოზიციის გამო განხილვა გადაიდო.

პარლამენტის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა უმრავლესობიდან ახლად გასული კობა დავითაშვილის ინიცირებულმა კანონპროექტმა. დავითაშვილის ინიციატივა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაზღვევის ფონდის დაარსებას გულისხმობს, რომელიც ფიზიკური პირის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ერთი მესამედით, საბიუჯეტო დოტაციით და შემოწირულობებით უნდა დაფინანსდეს.

დავითაშვილს მიაჩნია, რომ კერძო სადაზღვევო კომპანიებს სახელმწიფო თანხები რაც შეიძლება მალე უნდა ჩამოერთვას და საყოველთაო დაზღვევის ფონდში უნდა გადაირიცხოს.

„ხალხის პარტიის" ლიდერმა დასძინა, რომ ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის ფონდში სამეთვალყურეო საბჭოს ხუთი წევრი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე უნდა აირჩიონ.

საკომიტეტო მოსმენებზე დავითაშვილის ინიციატივას იურიდიულ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტებმა მხარი არ დაუჭირეს. ინიციატივას არც მთავრობა იზიარებს. თუმცა, პროცედურის თანახმად, კობა დავითაშვილის ინიციატივა პლენარულ სხდომაზე განსახილველად კომიტეტების მხარდაჭერის გარეშეც გავა.

კენჭისყრაზე კი პარლამენტმა კობა დავითაშვილის კიდევ ერთი საკანონმდებლო ინიციატივა ჩაგდო. კანონპროექტის თანახმად, არასრულწლოვანებისთვის მავნე ზეგავლენის მქონე პროგრამების ეთერში განთავსება ან მათთვის ასეთი ტიპის ბეჭდური პროდუქციის მიყიდვა ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებას ინვევს.

კანონპროექტის მისაღებად, სულ მცირე, 50 პარლამენტარის მხარდაჭერა იყო საჭირო, ხოლო დავითაშვილის პროექტს კენჭისყრაზე 29 დეპუტატმა მისცა ხმა, 27-წინააღმდეგ წავიდა.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი **რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

ბლოგი

მეტი დანაშაული სტატისტიკის კლების სანაცვლოდ

თიკა გურული

თელავში ადგილობრივი საპატრულო პოლიციისთვის ახალი მანქანების გადაცემის ცერემონიალზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ამაყად განაცხადა: ის, ვისაც არ უხარია პოლიციის წარმატება - არის ჩვენი ქვეყნის მტერი." როგორც წესი, სამშობლოს მტრებს (მოღალატეებს) ასამართლებენ - ვინ ვინ და ყველაზე უკეთ ეს შინაგან საქმეთა მინისტრმა უნდა იცოდეს. უბრალოდ, საეჭვოა, ეს სტატუსი ვინმეს უსამართლოდ ანუ მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო მიენიჭოს, რომ პოლიციის წარმატებებს არ აღიარებს. სანამ საქართველოს პოლიციის ბოლოდროინდელ წარმატება-წარუმატებლობას შევეხებით, ერთ არცთუ ისე რთულ არითმეტიკულ ამოცანას შემოგთავაზებთ.

ამოცანის პირობა შესავლის ნაცვლად

2013 წლის პირველ შვიდ თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ქვეყნის მასშტაბით დანაშაულმა 4126 ერთეულით იკლო. იმავე 2013 წლის პირველ სამ თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ქვეყნის მასშტაბით დანაშაულმა 1675 ერთეულით (ანუ 16,6 პროცენტით) მოიმატა.

ამოცანა გვეკითხება: რამდენი ერთეულით იკლო დანაშაულმა ბოლო ოთხ თვეში.

სანამ ამ ამოცანას ამოხსნით, აპრილის თვეში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების რამდენიმე დეტალს შემოგთავაზებთ:

ძველი სტატისტიკა

ისევ ძველ, 2013 წლის პირველი სამი თვის სტატისტიკურ მონაცემებს ვუბრუნდებით - გაცილებით დეტალურია, ვიდრე იმ ბოლო შვიდი თვის, რომლითაც შინაგან საქმეთა მინისტრი ასე ამაყობს. ამ მონაცემების თანახმად, წელს, წლის დასაწყისში დანაშაულის მაჩვენებელი ყოველთვიურად, საშუალოდ, 120-ზე მეტი ერთეულით იმატებდა.

არადა, იმავე სტატისტიკური მონაცემებით (8 აპრილის), 2006-დან 2013 წლამდე დანაშაულის რაოდენობამ საქართველოში 5053 ერთეულით ანუ 31,3 პროცენტით იკლო.

უფრო შორს თუ წავალთ, 2006 წლის შემდეგ (უფრო ძველი ინფორმაცია ვეღარ ვიპოვე) დანაშაულის რიცხვის მატება, მართალია, უმნიშვნელო, მაგრამ მაინც, მხოლოდ 2009 წლიდან დაფიქსირდა: ჯერ, სულ რაღაც, - 23, 2010 წელს - 1000-ზე მეტი, 2011 წელს კი 2000-ზე მეტი ერთეულით.

მინისტრის ინფორმაცია

სანამ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თელავში, საპატრულო პოლიციისთვის ახალი მანქანების გადაცემის ცერემონიალზე სიტყვით გამოვიდოდა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2013 წლის შვიდი თვის სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა. ცერემონიალზე სიტყვით გამოსვლისას ღარიბაშვილმა თქვა: **„ახლოვდება 8 აგვისტო. ხუთი წლის წინ სწორედ ამ პერიოდში ჩვენს ქვეყანას დიდი განსაცდელის გამოვლა მოუწია. რუსეთ-საქართველოს ომმა დიდი დანაკლისი მოგვიტანა - ოკუპირებული ტერიტორიები, იძულებით გადაადგილებული ჩვენი თანამემამულეები, დაჭრილები, დაღუპულები. ძვირფასო პოლიციელებო, პატივი უნდა მივაგოთ იმ პირთა ხსოვნას, ვინც ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლას შეწირნენ, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს გმირი თანამშრომლებიც იყვნენ. მჯერა, რომ მათ თავგანწირვას ფუჭად არ ჩაუვლია. ჩვენ მხოლოდ გააზრებული, თანმიმდევრული და ქმედითი ნაბიჯების შედეგად, ახლო მომავალში შევძლებთ გაერთიანებული საქართველოს საზღვრის არეალში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას, იმ წესრიგის დანერგვას, რომელიც ქართულ პოლიციაში დღეს ხორციელდება."**

კვლავ სტატისტიკას დავუბრუნდები. შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, დაახლოებით, 30 პროცენტით არის შემცირებული დანაშაული და ამდენივე - 30 პროცენტით არის გაზრდილი გახსნილი დანაშაულის რაოდენობა. აღნიშნული კომენტარი შს მინისტრმა დანაშაულის შვიდი თვის სტატისტიკის საკითხის კომენტირებისას აღნიშნა.

მინისტრის ინფორმაციით, დანაშაული 4000 ერთეულით არის შემცირებული, რაც ძალიან დიდი წარმატებაა, იმ დროს როცა ციხიდან 14 000 პატიმარია გამოსული.

„ჩვენ ძალიან დიდი გამოწვევები გვქონდა. დანიშვნის დღიდან პრაქტიკულად შეუსვენებლად ვმუშაობდით იმისთვის, რომ მაქსიმალურად დაგვეცვა ჩვენი თითოეული მოქალაქის უსაფრთხოება. მინდა, სიამაყით ვთქვა, რომ ეს თითოეული პოლიციელის დამსახურებაა. მე ნამდვილად ვულოცავ ყველა პოლიციელს ამ წარმატებას. მთელი პოლიცია არის ძალიან მოტივირებული, ძალიან ორგანიზებული და მართლაც მიხარია, რომ ეს არის შედეგი იმისა, რომ ცხრა თვის თავზე მივიღეთ დეპოლიტიზებული პოლიცია. ჩვენ მივიღეთ მოტივირებული პოლიცია, უფრო მობილიზებული და, რაც მთავარია, მათი საქმიანობა არის ძალიან წარმატებული. ეს არის ჩვენი ცხრა თვის წარმატებული საქმიანობის შედეგი," - აღნიშნა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

მისივე თქმით, გახნის მაჩვენებელი 53,3 პროცენტს შეადგენს, მაშინ როცა გასულ წელს იყო ამის ნახევარი, უფრო ნაკლები - 23 პროცენტი.

„ამ მხრივ საქართველოში ძალიან სტაბილური მდგომარეობაა. კრიმინალი ყოველთვის ხდება ყველა ქვეყანაში. მე, უბრალოდ, მოვუწოდებ ყველას, მათაც, ვისაც არ უხარია ჩვენი წარმატება, ყოველთვის ახსოვდეთ მთავარი: ჩვენ, ყველა, ვემსახურებით ერთ საქმეს. ეს არის ჩვენი ქვეყანა და ჩვენ გვაქვს საერთო ინტერესები. ის, ვისაც არ უხარია პოლიციის წარმატება, არის ჩვენი ქვეყნის მტერი," - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საჯარო ინფორმაცია

მოკლეს, თავს დაესხნენ, გაქურდეს, გაძარცვეს - ეს ყოველდღიურად გვესმის საინფორმაციო გამოშვებებიდან. შარშან ამდენი გაგიგიათ? შარშანწინ?

მე კი საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის საჯარო კომენტარი მახსენდება. ეკა ბასელიამ ბათუმში მარიამ კოჩალაძის მკვლელობის შემდეგ, მანამდე, სანამ შვიდი თვის შედეგები დაიდებოდა, განაცხადა: **იმ ფონზე, რომელსაც 14 ათასი ადამიანია ციხიდან გათავისუფლებული, სტატისტიკა აჩვენებს, რომ გასული წლის ამ პერიოდთან შედარებით 3 300 ერთეულით არის შემცირებული დანაშაულის რაოდენობა მთელი ქვეყნის მასშტაბით. აჭარაში 60 პროცენტს მიაღწია დანაშაულის გახსნის რაოდენობამ და მთლიანად ქვეყნის მასშტაბით 52 პროცენტია. შარშან აჭარაში დანაშაულის გახსნის კოეფიციენტი იყო 16 პროცენტი."** დეპუტატის მტკიცებით, ეს ციფრები იმას მეტყველებს, რომ პანიკის, შეშფოთების და საზოგადოების დამძიმების საფუძველი არ არსებობს.

აქვე დავამატებ - ამ კომენტარის გაკეთების შემდეგ ბათუმში, სულ ცოტა, ორი მკვლელობა მოხდა.

არცთუ რეალობას მოკლებული ჭორები

არ ვარ მტერი და ჭორები დავარქვი. რეალურად სიმართლეა.

გუშინ (2013 წელი. კონკრეტული თარიღი პირობითია) ჩვენი მეგობრის ბინა გაქურდეს. თხუთმეტიოდე წუთით შინიდან გასულ ცოლ-ქმარს ბინის კარი - დაუზიანებელი, თუმცა ბინა თავდაყირა და ოქროულობა და ფული წაღებული დახვდა. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციამ, დაიმედების ნაცვლად, უბნის ამბები უამბო. ბოლო ორი კვირის მანძილზე ახლო-მახლო თურმე, სულ ცოტა, 10 ბინა გაუქურდავთ.

გუშინწინ (2013 წელი. კონკრეტული თარიღი პირობითია) ჩემს ახლობელს ხანშიშესული მამაკაცი ქუჩაში აეკიდა - მუქარით ძვირფასი ნივთის წართმევას ცდილობდა. ახალგაზრდა გოგონას უწმაწური გამონათქვამებით სდია. გოგონამ, რომელიც ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით, მსხვერპლად არ იქცა, სამართალდამცველ სრუქტურებში საჩივრის შეტანისგან თავი შეიკავა. თუმცა, საქმეზე წინასწარი მოკვლევა ჩატარდა და აღმოჩნდა, რომ ხულიგანი ახლად ამნისტირებული იყო.

ერთი კვირის წინათ (2013 წელი. კონკრეტული თარიღი პირობითია) ჩემს ნაცნობს დღის 5 საათზე დედაქალაქის ცენტრში თავს დაესხნენ, ჩანთა და ოქროულობა წაართვეს. მეორეს, ჩანთას რომ ართმევდნენ, ხელი ჰკრეს, დაეცა და მხარი მოიტეხა.

ორი კვირის წინ კიდევ ერთს მანქანა გაუტეხეს, შიგ დარჩენილი ხურდები და ფლეშკის გადამყვანი მოიპარეს.

გუშინ (2013 წელი. კონკრეტული თარიღი პირობითია) თბილისის ერთ-ერთ უბანში 4 ბიჭი კვდებოდა ნარკოტიკ ბიოთი. მეზობლები ცდილობდნენ შველას. სასწრაფო მოვიდა, ერთ-ერთი ისე მძიმედ იყო, იქვე სადარბაზოში გაუკეთეს გადასხმა. მერე ყველა საავადმყოფოში წაიყვანეს. იქ იყო პატრული, მაგრამ როგორც მოვიდა, ისე წავიდა, არც ოქმი შეუდგენია, არც საავადმყოფოში გაყოლია. მეზობლებს უთხრეს, ეს ახლა აღარ გვევალებაო, ადრე საავადმყოფოშიც წავყვებოდით, ოქმსაც შევადგენდით და პასუხსაც მოვთხოვდითო...

გავაგრძელო?

სტატიას რომ ვწერდი, მითხრეს...

ორი დღის წინ გავიგე...

9 წლის მანძილზე პირველად მოვკარი ყური...

ბევრი არაფერი დამიწერია, მხოლოდ ის, რაც უშუალოდ დანაშაულის მსხვერპლთაგან მოვისმინე. ამიტომ, ამ ყველაფრის გამო, ბევრი წლის შემდეგ მანქანას ფარეხში ვაყენებ და შებინდებულზე შინ მოსულ ბავშვებს სადარბაზოში ვხვდები.

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა

დრო მოვიდა და ზემოთ მოცემული ამოცანის პასუხსაც გეტყვით - თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს ვირწმუნებთ, ბოლო ოთხ თვეში, აპრილიდან ივლისამდე, დანაშაულმა 5801 ერთეულით იკლო. ეს იგივეა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკის მიხედვით, 2011 წლის 3 თვეში დანაშაული საერთოდ არ ჩაედინათ.

და ბოლოს, ნონსენსი

გუშინ, 10 თვის ბარბარე რაფალიანცის მკვლელობის საქმის გამოძიების შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა: **ჩვენ სამინისტროში დავინიშნეთ 25 ოქტომბერს. დაახლოებით, პირველ ნოემბერს შევუდექით საქმიანობას. მანამდე ერთი თვე ჯერ კიდევ წინა ხელისუფლება იყო და წინა ხელისუფლება ასრულებდა მოვალეობას. სწორედ ამ პერიოდში უნდა მომხდარიყო ამ დანაშაულის გახსნა. მაგრამ, ეს არ მიხსნის ვალდებულებას, რომ ეს საქმე იქნას გამოძიებული და ბოლომდე მიყვანილი, და ეს ასეც იქნება. უბრალოდ, დროში გაიწელა, ვინაიდან გართულდა ამ საქმის გამოძიება, მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, ჩვენ არ გავურბივართ, მათგან განსხვავებით, პასუხისმგებლობას და ვალდებულებას. პირიქით, მათ მიერ გაფუჭებულ საქმეებზე ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას.**

რაფალიანცის საქმე თუ არა, რომელზეც ღარიბაშვილმა რამდენიმე თვის წინ პირადი კონტროლი დააწესა, შინაგან საქმეთა მინისტრს მისი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში მომხდარ დანაშაულზე - ჯიხადის ვიდეოებზე მაინც მოუწევს პასუხის გაცემა.

ბიძინა ივანიშვილი - ქართველებს და რუსებს ერთმანეთი უყვართ

პირველი გვერდიდან

ეს საკითხი საერთაშორისო კანონმდებლობის პრინციპების შესაბამისად, სიფრთხილით უნდა მოგვარდეს, რაც საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ჩვენი დასავლელი პარტნიორების აქტიურ ჩართულობას მოითხოვს ," - განმარტავს ივანიშვილი.

გარდა ამისა, ივანიშვილი ნატო-ს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის სიტყვებს ციტირებს, რომლის თანახმადაც, „თამამი რეფორმების გატარებით საქართველო უკვე მიუახლოვდა ნატო-ს". პრემიერს ასევე ევროკავშირის გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარ შტეფან ფულეს სიტყვები მოჰყავს, რომელმაც განაცხადა, რომ „მითი" იმის შესახებ, თითქოს საქართველო ნოემბერში, ვილნიუსის სამიტისთვის ასოცირების შესახებ ხელშეკრულებისთვის საჭირო რეფორმებს არ ატარებს, „უნდა დაიმსხვრეს".

ბიძინა ივანიშვილი აღნიშნავს, რომ „პრაგმატულობა" ასევე ჩვენ მიერ საერთაშორისო ვალდებულებების აღებას ნიშნავს და ყურადღებას ქართველი ჯარისკაცების ავღანეთში მსახურებაზე ამახვილებს.

ამასთან ივანიშვილი წერს, რომ მისი მთავრობა კანონის უზენაესობას ამყარებს და შრომით უფლებებს, საგანმანათლებლო რეფორმასა და ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევას აძლიერებს. მისი თქმით, „კონკრეტულობა" ნიშნავს დემოკრატიულობაზე ფოკუსირებას იმ რეფორმებით, რომლებიც 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ჩავარდა. თუმცა აქვე ივანიშვილი იმასაც ამბობს, რომ საქართველოს ჯერაც ესაჭიროება საკონსტიტუციო რეფორმა, რომელიც მთავრობის შტოებს შორის ძალაუფლებას უკეთესად გადაანაწილებს.

ბიძინა ივანიშვილი ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს ახალმა მთავრობამ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა სისხლის სამართლის სისტემის ლიბერალიზაციისკენ. მისივე განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამასწინანდელ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი მთავრობის ხელში „სასამართლო სისტემა არ იყო სრულად დამოუკიდებელი". როგორც ივანიშვილი წერს, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ამ მხრივ მდგომარეობა შეიცვალა.

«უოლ სტრიტ ჯორნალში» გამოქვეყნებულ წერილში ივანიშვილი იმასაც ამბობს, რომ ახალი მთავრობა უამრავ კონკრეტულ ეკონომიკურ რეფორმას ატარებს, იქნება ეს სოფლის მეურნეობის აღორძინება, სამართლიანი საგადასახადო სისტემის შექმნა თუ პოლიტიკური ზეწოლისა და კერძო ბიზნესის გამოძალვის აღმოფხვრა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის თქმით, „მიუხედავად აშკარა პროგრესისა", მისი მთავრობა კრიტიკის ქარცეცხლში გაახვიეს იმ ადამიანებმა, ვინც, წესით, საქართველოს ტრანსატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების მომხრენი უნდა იყვნენ. ივანიშვილი კრიტიკოსების ფაქტებზე დაკვირვებას სთხოვს.

„თუმცა, მიუხედავად აშკარა პროგრესისა, ჩვენი მთავრობა კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვა იმ ადამიანებისგან, ვინც ჩვენი მოკავშირე უნდა იყოს ტრანსატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების საკითხში. ევროპასა და აშშ-ში ერთხმად მოლაპარაკე უმცირესობებმა, რომელთა უმრავლესობა გასულ წლებში არსებულ ძალადობაზე ოფიციალურ განცხადებებს იგნორირებდა, მკვეთრად გააკრიტიკეს ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებები, როგორც არადემოკრატიული ქმედება. ჩვენს კრიტიკოსებს ფაქტებზე დაკვირვებას ვთხოვ: ამ პროცესებს საერთაშორისო ზედამხედველობით ვაგრძელებთ. ასევე, ვიწვევთ ყველა საერთაშორისო დამკვირვებელს, რათა დაკვირდნენ ყოფილი მაღალჩინოსნების სასამართლო სხდომებსა და ოქტომბერში გასამართ საპრეზიდენტო არჩევნებს," - წერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

ბიძინა ივანიშვილი ასევე აღნიშნავს, რომ ამ პოლიტიკურ ვოიაჟში ის რამდენიმეწლიანი ფილანტროპობისა და სააკაშვილის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერის შემდეგ ჩაერთო.

„აღმოვაჩინე, რომ რეალური ცვლილებებისა და ჩვენი დაყოფილი სამშობლოს გაერთიანების იმედის გადასარჩენად ახალი მთავრობის ფორმირება მესაჭიროებოდა. მჯერა, სწორ გზას ვადგავართ. თუმცა, რამდენადაც წინ საპრეზიდენტო არჩევნები და ნოემბერში ვილნიუსში აღმოსავლეთ პარტნიორიობის სამიტი გველის, ჩვენ ძლიერი საერთაშორისო მხარდაჭერა გვჭირდება, რათა შევძლოთ მილიონობით ქართველის მისწრაფებების განხორციელების გაგრძელება, მისწრაფებების, რომლებიც ერთ დროს „ვარდების რევოლუციის" იმედებსა და იდეალებს წარმოადგენდა," - აღნიშნავს ბიძინა ივანიშვილი.

«უოლ სტრიტ ჯორნალში» გამოქვეყნებულ წერილში არა, მაგრამ „ამერიკის ხმასთან" ინტერვიუში ივანიშვილი რუს და ქართველ ხალხს შორის სიყვარულზე და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შესაძლო შეხვედრაზე საუბრობს. საქართველოს პრემიერ-მინისტრი იმედოვნებს, რომ საქართველო და რუსეთი „მეგობრულ ურთიერთობებს" აღადგენენ. მისი შეფასებით, რუსეთთან ურთიერთობაში მოკლე დროში რისი მიღწევაც შეიძლებოდა, უკვე მიღწეულია - კერძოდ, აღდგა სავაჭრო ურთიერთობები, რომელთა გაღრმავება და გაფართოება შესაძლებელია.

„ვფიქრობ, რომ ამას რეალურად რაც შეიძლება მოჰყვეს, იქნება მუდმივი ავიარეისების აღდგენა. შესაძლოა, რუსეთის მხრიდან სავიზო რეჟიმი გამარტივდეს ან საერთოდ გაუქმდეს. რაც შეეხება შორეულ პერსპექტივას, იმას, რისკენაც ჩვენ ვისწრაფვით და რაც აუცილებლად უნდა მოხდეს, ჩემი აზრით, უფრო მეტი დრო დასჭირდება. ჩვენ უნდა დავალაგოთ და აღვადგინოთ ის მეგობრული ურთიერთობები, რაც რუსეთთან გვქონდა. ამას ხანგრძლივი დრო დასჭირდება, თუმცა ჩვენ ურთიერთობებს აუცილებლად დავალაგებთ," - აცხადებს პრემიერი.

„ამერიკის ხმასთან" ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილი საქართველოში რუსი ტურისტების რაოდენობის ზრდას დადებითად აფასებს, ამ ფაქტს ნოსტალგიით ხსნის და აღნიშნავს, რომ ქართველ და რუს ხალხს ერთმანეთი უყვარს.

კითხვაზე, როდის შედგება მისი და პრეზიდენტ პუტინის შეხვედრა, ივანიშვილი აცხადებს, რომ ეს არც ძალიან შორი პერსპექტივაა და არც ძალიან ახლო. მისი თქმით, ახლა შეხვედრისთვის საფუძველი არ არსებობს.

„ამას სჭირდება უფრო მეტი პოზიტივი, ორმხრივი ურთიერთობების უფრო მეტი გათელვა. ამას სჭირდება დრო, თუმცა ჩვენი მხრიდან ამის მზაობა და სურვილი არსებობს," - აცხადებს ბიძინა ივანიშვილი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი აფხაზეთთან და ე.წ სამხრეთ ოსეთთან საზღვრის გადმოწევის ფაქტებს, ძირითადად, ოლიმპიადას უკავშირებს და აღნიშნავს, რომ ამ ღონისძიების გამო რუსეთი აღელვებულია.

ბიძინა ივანიშვილი იმედოვნებს, რომ სოჭის ოლიმპიადის შემდეგ ორმხრივი ურთიერთობა პოზიტიური და კონსტრუქციული გახდება.

ჟურნალისტის კითხვას, გამოიყენება თუ არა აფხაზეთი, როგორც ბუფერული ზონა რუსეთთან ურთიერთობაში, ივანიშვილი პასუხობს, რომ საქართველოს რუსეთთან ურთიერთობაში არანაირი ბუფერი არ სჭირდება და თუ აფხაზეთი ასეთად აღიქმება, ეს ილუზია უნდა დაიმსხვრეს.

„ჩვენ რუსეთთან ურთიერთობაში არანაირი ბუფერი არ გვჭირდება. რაც შეეხება აფხაზეთს, ერთადერთი გზა არის მეგობრული, ძმური ურთიერთობა. არც ერთ შემთხვევაში, საუბრის დონეზეც კი, ძალა არ უნდა იყოს ნახსენები. ამისთვის ჩვენ სამართლებრივი, დემოკრატიული, ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო უნდა ავაშენოთ და მათ ჩვენთან თანაცხოვრების ინტერესი გავუჩინოთ," - აცხადებს ბიძინა ივანიშვილი „ამერიკის ხმის" მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელ ჯეიმს ბრუკთან ინტერვიუში.

დასავლეთის საელჩოების დახურვა ზავაჰირის „ზარმა“ გამოიწვია

ნელ-ნელა ცნობილი ხდება დამატებითი ცნობები იმ ტერორისტული საფრთხის შესახებ, რამაც გამოიწვია აშშ-ს და ევროპის რიგი სახელმწიფოების საელჩოების დახურვა ახლო აღმოსავლეთის, აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ოციოდე სახელმწიფოში (ამაზე „24 საათი“ უკვე წერდა წინა ნომრებში). როგორც ირკვევა, დაზვერვამ რამდენიმე კვირის წინ მოახერხა „ალ ქაიდას“ ამჟამინდელი ხელმძღვანელის, წარმოშობით ეგვიპტელი აიმან ზავახირისა და ამ ორგანიზაციის „იემენის ფილიალის“ მეთაურ ნასერ ვუხაიშის საუბრის „დაჭერა“. ზუსტად აღნიშნული არ არის, ეს სატელეფონო საუბარი იყო თუ ელექტროფოსტის მეშვეობით მიმოწერა. თეთრი სახლი და სახელმწიფო დეპარტამენტი მანამდეც აცხადებდა, რომ ძირითადი საფრთხე მოდიოდა ორგანიზაციისგან „ალ ქაიდა არაბეთის ნახევარკუნძულზე“. ეს არის ამ საერთაშორისო ტერორისტული ქსელის ერთ-ერთი ძლიერი და აქტიური ნაწილი, რომელიც უმთავრესად იემენშია „ბაზირებული“ და ამ სახელმწიფოში მოქმედებს. საუბარი იყო სერიოზულ ტერორისტულ აქტზე, როგორიც 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმის შემდეგ არ მომხდარა, თუმცა უცნობია, კონკრეტულად რის წინააღმდეგ შეიძლება განხორციელდეს შეტევა. კვანძი შესაძლოა, სწორედ კვირას გახსნილიყო. თუმცა საფრთხე ჯერჯერობით რჩება. აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა გუშინ კიდევ მოუწოდეს საკუთარ მოქალაქეებს, დატოვონ იემენი. იემენში გამკაცრებულია სახელმწიფო ობიექტებისა და უცხოელთის დიპლომატიური მისიების დაცვა. ქვეყანში ყველგან ბლოკპოსტები დააყენეს. იემენის ხელისუფლებამ იმ 25 ადამიანის სია გამოაქვეყნა, რომლებიც შეიძლება, ტერაქტების მონაწილეები იყვნენ. იემენის ხელისუფლების ცნობით, მაღრიბის პროვინციაში გუშინ უპილოტო საფრენი აპარატიდან განხორციელებული საჰაერო დარტყმით ლიკვიდირებულია ოთხი ადამიანი, სავარაუდოდ „ალ ქაიდას“ წევრები. „საშიშ ქვეყნებში“, აშშ-ს საელჩოების გარდა, დახურულია დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და საფრანგეთის საელჩოები. გუშინ მათ მიბაძა ნორვეგიამაც. ნორვეგიის საელჩო ნაწილობრივ არის დახურული, ისინი არ იღებენ სტუმრებს, მაგრამ პასუხობენ სატელეფონო ზარებს და ამუშავებენ ელექტრონულ მიმოწერას. აშშ-მ კი იემენიდან საელჩოს პერსონალის ევაკუაციაც გამოაცხადა. ალბათ იგულისხმება ოჯახის წევრები და ის თანამშრომლები, რომელთა იქ ყოფნაც აუცილებელი არ არის.

„ვაშინგტონ პოსტი“ გაიყიდა

„ამაზონის“ ხელმძღვანელი ჯეფრი ბეზოსი დათანხმდა „ვაშინგტონ პოსტის“ ყიდვას 250 მილიონ დოლარად. მსოფლიოში უმსხვილესი „ონლაინ-მაღაზიის“ დამაარსებელი გაზეთს და მასთან დაკავშირებულ დამატებებს ყიდულობს, როგორც კერძო პირი. აქამდე, 80 წლის განმავლობაში, „ვაშინგტონ პოსტს“ გრემების ოჯახი ფლობდა. გაზეთის გენერალური დირექტორის დონალდ გრემმა განაცხადა, რომ „ყველასთვის ცნობილმა პრობლემურმა წლებმა საგაზეთო ინდუსტრიაში გვაფიქრებინა, რომ შესაძლოა, მოიძებნოს გაზეთის სხვა მეპატრონე, რომელიც მას უფრო მეტ სარგებელს მოუტანს. ჯეფ ბეზოსის შემოწმებულმა გენიამ ტექნოლოგიებისა და ბიზნესის სფეროში, მისმა შორსმჭვრეტელობამ და პირადმა წესიერებამ, იგი „პოსტის“ ერთადერთ შესაფერის მეპატრონედ აქცია“. გრემების ოჯახი იტოვებს ჰოლდინგ „ვაშინგტონ პოსტში“ შემავალ რამდენიმე სტრუქტურას, მათ შორის საგანმანათლებლო ორგანიზაცია „კაპლანს“. გაზეთის საიტზე გამოქვეყნებულია ჯეფრი ბეზოსის განცხადებაც. ის საგაზეთო ბიზნესის დეტალებში ჩარევას არ აპირებს და გამოცემის „ფასეულობებსაც“ შეინარჩუნებს. ამან, წესით, უნდა დაამშვიდოს თანამშრომლები, რომლებიც საკუთარ მომავალზე ფიქრობენ. თუმცა ბეზოსი მიიჩნევს, რომ უახლოეს წლებში „ვაშინგტონ პოსტში“ ცვლილებებიც მოხდება, რაც, მოკლედ რომ ვთქვათ, ახალი დროით და რეალობით არის განპირობებული.

ჩილეს პრეზიდენტობის კანდიდატი ქალების მამების საქმე დაიხურა

სასამართლომ უარი თქვა ,განეხილა 40 წლის წინანდელი მკვლელობის საქმე, რომელშიც ადამიანის უფლებათა დამცველები გადამდგარ გენერალ ფერნანდო მატეის სდებენ ბრალს. მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ მატეის წინაღმდეგ პროცესის დაწყების საფუძველი არ არის. გენერალი მატეი, პინოჩეტის ხუნტის მონაწილე, ხელმძღვანელობდა სამხედრო ბაზას, რომელზეც 1973 წლის გადატრიალების შემდეგ წამებით მოკლეს გენერალი ალბერტო ბაჩელეტი, ქვეყნის ერთ-ერთი ხელმძღვანელი სალვადორ ალიენდეს დროს.

ეს საქმე საინტერესოა იმ თვალსაზრისით. რომ დღეს ჩილეს პრეზიდენტობისთვის იბრძვის ორი ქალი - ამ გენერლების შვილები. მემარცხენე მიშელ ბაჩელეტი თავის დროზე პირველი ქალი პრეზიდენტი და მანამდე პირველი ქალი თავდაცვის მინისტრი იყო. ეველინ მატეი შრომის და სოცუზრუნველყოფის მინისტრია ამჟამინდელ მემარჯვენე მათავრობაში. ის მინისტრობის ვადის დამთავრების შემდეგ პოლიტიკიდან წასვლას აპირებდა, მაგრამ პარტიამ ცოტა ხნის წინ ერთხმად აირჩია პრეზიდენტობის კანდიდატად.

მოამზადა ივა შილაკაძემ

თურქეთის გენშტაბის უფროსს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს

პირველი გვერდიდან

ეს უკანასკნელები თურქეთის საერო წყობის გარანტად მიიჩნევენ თავს და ერდოღანის ხელისუფლებაში მოსვლამდე პოლიტიკაშიც ყოველთვის ეკუთვნოდათ ბოლო სიტყვა.

ილკერ ბაშბუგისა და კიდევ 63 ადამიანისთვის ბრალდების მხარე სწორედ სამუდამო პატიმრობას მოითხოვდა. ამ 63 ადამიანში ცხრა გენერალია. ბაშბუგი, რომელიც გენერალური შტაბის უფროსი იყო 2008-2010 წლებში ანუ უკვე ერდოღანის დროს, მის მიმართ წაყენებულ ყველა ბრალდებას უარყოფს.

მანამდე თურქეთის სასამართლომ 21 ბრალდებული გაამართლა, 253 ადამიანის ბედი ჯერ გაურკვეველია. ისინი განაჩენს ელოდებიან. ხელისუფლების დამხობის მზადების ბრალდებით, სულ, 270-ზე მეტი ადამიანი დაპატიმრეს. მათ შორის არიან თურქეთის არმიის მაღალჩინოსნები, იურისტები, მეცნიერები და ჟურნალისტები. მიიჩნევა, რომ ყველა მათგანი დაკავშირებულია ჯგუფ „ერგენეკონთან“, რომელიც არმიის ოფიცრების ნაციონალისტურად განწყობილ ნაწილს მოიცავდა და, ბრალდების აზრით, ერდოღანის მთავრობის დასამხობად იყო შექმნილი. იატაკქვეშა ტერორისტულ დაჯგუფებასთან კავშირის გარდა, განასჯელებს ბრალი ედებათ მთელი რიგი მუხლებით - იარაღის უკანონო შენახვიდან გადატრიალების ორგანიზაციამდე.

პროცესი მიმდინარეობს კარგად დაცულ ციხე სილივრიში სპეციალურად მოწყობილ დარბაზში. ამ ციხეში ჰყავთ დაკავებული გენერალური შტაბის ყოფილი უფროსიც. დაახლოებით, ათასმა ადამიანმა, რომლებიც განაჩენს აპროტესტებდნენ, ციხის კედლებთან მარში მოაწყო. პოლიციამ მათ წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.

აქცია ციხესთან

ოპონენტები პრემიერ-მინისტრ რეჯებ ტაიპ ერდოღანს ბრალს სდებენ იმაში, რომ ის საჩვენებელი სასამართლო პროცესების ორგანიზებით თავისი მტრების ჩამოცილებას ცდილობს. ერდოღანის მომხრეები კი აცხადებენ, რომ სასამართლო გარჩევებმა ქვეყანას საშუალება მისცა, სამხედროები პოლიტიკური პროცესიდან გამოერიცხათ.

ექსპერტების აზრით, ეს სასამართლო და მისი განაჩენი იმის დემონსტრაცია იქნება, თუ რამდენად სერიოზულად აპირებს ისლამისტურ პოზიციებზე მყოფი პრემიერი ერდოღანი ებრძოლოს საერო ოპოზიციას და თავის მოწინააღმდეგეებს არმიაში. არმიასა და 2002 წელს ხელისუფლებაში მისულ ერდოღანს შორის აქტიური დაპირისპირება უკვე ათ წელზე მეტია, გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში ასობით ოფიცერი დააპატიმრეს.

სამხედროები, ათათურქიდან მოყოლებული, თავს მიიჩნევდნენ სახელმწიფოს საერო მოწყობის გარანტად. 1960-დან 1980 წლამდე მათ სამი სამხედრო გადატრიალება მოაწყვეს. არმიას და ერდოღანის „სამართლიანობის და განვითარების პარტიას“, რომელიც ისლამისტურ პოზიციებზე დგას, ერთმანეთთან ძველი ანგარიშები აქვთ. ეს არის „კეთილდღეობის პარტიის“ მემკვიდრე, რომელიც თურქეთის მთავრობაში მეოცე საუკუნის 90-იანი წლების შუახანებში მივიდა და 1997 წელს სწორედ სამხედროების ზეწოლის შედეგად გადადგა.

„ერგენეკონის“ საქმის პროცესი ამ ტიპის სასამართლო განხილვებს შორის ყველაზე ხმაურიანი აღმოჩნდა. მასში ამჟამინდელი პრემიერის ბევრი ოპონენტი ფიგურირებს. უკვე ოთხი წლის მანძილზე მიმდინარე სასამართლო განხილვის მოწინააღმდეგეები მიიჩნევენ, რომ ერდოღანმა და მისმა ისლამისტურმა მთავრობამ ბრალდებები შეთითხნეს, რომ საერო სახელმწიფოს მომხრეები იძულებით გაეჩუმებინათ.

თურქეთის ხელისუფლება ამ მოსაზრებას უარყოფს. ერგენეკონის საქმე მთლიანად დამყარებულია იმ „მოცემულობაზე“, რომ ქვეყანაში არსებობს იატაკქვეშა ქსელი, რომელშიც შედიან სამხედროები, მსხვილი კომპანიების ხელმძღვანელები, უბრალოდ, საერო მმართველობის შენარჩუნების მომხრეები და ნაციონალისტები, რომელთა მიზანია, დაასუსტონ და საერთოდ ჩამოაგდონ მოქმედი ხელისუფლება. «ერგენეკონის» საქმის ფიგურანტებს ბრალად წაუყენეს შეთქმულების ორგანიზება მასობრივი არეულობების მოსაწყობად, რაც შემდეგ სახელმწიფო გადატრიალებას გამოიწვევდა. ციხე სილივრიში მოწყობილი სასამართლო, ფაქტობრივად, მთლიანად დაეთანხმა მთავრობის არგუმენტაციას. თან, ეს სასამართლო ცხადყოფს, რომ ერდოღანმა არმის და მთავრობის ურთიერთობის ჩამოყალიბებული სქემის შეცვლა მოახერხა და თავი არმიაზე მაღლა დააყენა.

პრემიერის კრიტიკოსები კი ფიქრობენ, რომ ერდოღანმა იატაკქვეშა ძალებისგან მომდინარე საფრთხე გაბუქა და არსებული ოპოზიციის თავიდან მოშორებისთვის საბაბად გამოიყენა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასეთი პროცესები შექმნილ სიტუაციაში დამატებით გააღიზიანებს საერო მმართველობის მომხრეებს, რომლებიც ივნისიდან მოყოლებული, მრავალათასიან აქციებს აწყობენ თურქეთის ქალაქების უმრავლესობაში სწორედ „მცოცავი ისლამიზაციის“ წინააღმდეგ. თუ საპროტესტო მუხტი კიდევ ნახევარ წელიწადს შენარჩუნდება, რასაც ასეთი ვერდიქტები ლოგიკურად ხელს შეუწყობს, ადგილობრივ არჩევნებზე 2014 წლის მარტში ერდოღანის პარტია პოზიციებს დაკარგავს.

ბი-ბი-სის მიხედვით
მოამზადა ივა შილაკაძემ

ფსკოვში ოპოზიციონერი მღვდელი მოკლეს

პირველი გვერდიდან

პანკ-ჯგუფ „Pussy Riot“-ის წევრების გახმაურებული სასამართლო პროცესის დროს ის საჯაროდ გამოვიდა და თქვა, რომ საჭირო იყო, მათთვის დანაშაული ეპატიებინათ და ციხე არ მიესაჯათ.

მამა პავლეს ცხედარი კონსტანტინეს და ელენეს ტაძარში აღმოაჩინეს (სხვა მონაცემებით ტაძართან). თუმცა, როგორც ირკვევა, მკვლელობას თვითმხილველებიც ჰყავდა, იქვე ახლოს იყვნენ ადამიანები, რომლებმაც ხმა გაიგონეს. მკვლელი, 27 წლის მოსკოველი ახალგაზრდა სერგეი პჩელნიცევი, 40-კაციან ჯგუფთან ერთად, მამა პავლესთან სტუმრად ჩავიდა 1 აგვისტოს, დაბადების დღეზე და შემდეგ მასთან დარჩა სტუმრად. ერთ-ერთი ვერსიით, მამა პავლემ იგი ნაცნობი მოსკოველი ქალის თხოვნით მიიღო. ეტყობა, ფიქრობდნენ, რომ საეკლესიო პირთან საუბარი კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენდა ფსიქიკურად გაუწონასწორებელ ახალგაზრდაზე. გუშინვე „ლაიფ ნიუსმა“ „ეჭვმიტანილის“ დედისგან ინტერვიუ აიღო, რომელმაც განაცხადა, რომ მისი შვილი ბოლო პერიოდში მანიაკ მკვლელებზე გადაღებულ მოკლემეტრაჟიან ფილმებზე ოპერატორად მუშაობდა. დედა ფიქრობს, რომ შეიძლება, სწორედ ამის გამო სინდისის ქენჯნა გამხდარიყო სერგეის ფსიქიკური აშლილობის მიზეზი, რადგან ადრე მისი შვილი მხოლოდ „კეთილ“ ფილმებზე მუშაობდა. დედის სიტყვებით, სერგეი ცოლის მოყვანას აპირებდა და ამისთვის მომზადების მიზნით დარჩა სასულიერო პირთან რამდენიმე დღით სტუმრად.

ამ მომენტისთვის არსებული ცნობებით, სერგეი პჩელნიცევმა ვახშმობისას სამზარეულოს დანას წამოავლო ხელი და მღვდელს რამდენიმე ჭრილობა მიაყენა, თან ყვიროდა, რომ სასულიერო პირის მოკვლა მას სატანამ უბრძანა. ერთ-ერთი ჭრილობა მკვლელმა მღვდელს გულში მიაყენა და ეს უკანასკნელი სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვის გამო გარდაიცვალა. ალბათ, ტრაგიკული შემთხვევითობაა, მაგრამ სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა მკვლელობის ადგილზე პირველივე გამოძახებით არ მივიდა. იმ პირებს, ვინც დარეკა, უპასუხეს, რომ არც ერთი ბრიგადა არ იყო თავისუფალი. სასწრაფო დახმარება ადგილზე მხოლოდ ხელმეორედ დარეკვის შემდეგ მივიდა, როდესაც იქ უკვე პოლიცია მუშაობდა და სასწრაფოც, როგორც ჩანს, უკვე ამ უკანასკნელებმა გამოიძახეს.

მკვლელი დაკავებისასაც აფექტურ და არაადეკვატურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და თავიც სწორედ დაკავების წინ დაიჭრა. გამოძიება მას დაკითხავს, როგორც კი ამის საშუალება ექნება.

მამა პავლე ადელგეიმი («ორიგინალში» ალბათ ადელჰაიმი) 1938 წელს დაიბადა. ის წარმოშობით რუსეთში მცხოვრები გერმანელების ოჯახიდანაა. ბაბუა კიევში დაუხვრიტეს 1938 წელს, მამა - 1942 წელს. დედის დაპატიმრების შემდეგ ბავშვთა სახლში მოათავსეს, შემდეგ ყაზახეთში გადაასახლეს. 1969 წელს პავლე ადელგეიმი არაოფიციალურად გამოცემული რელიგიური ლიტერატურის გავრცელებისთვის დააპატიმრეს და „საბჭოთა წყობილებაზე ცილისწამების“ მუხლით სამი წელი მიუსაჯეს. ციხეში ყოფნისას მან მარჯვენა ფეხი დაკარგა. 1976 წლიდან ის ფსკოვის ეპარქიაში მსახურობდა. 2008 წელს, ფსკოვისა და ველიკოლუკის მიტროპოლიტ ევსევის ბრძანებით, ის წმინდა მენელსაცხებლე დედების ტაძრის წინამძღვრის თანამდებობიდან ჩამოაქვეითეს. როგორც თვით მღვდელი ჰყვებოდა, მიტროპოლიტთან მისი კონფლიქტი 20 წელი გრძელდებოდა, ამ უკანასკნელის ფსკოვში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. მამა პავლე ადელგეიმი საჯაროდ აკრიტიკებდა რუსეთის მართმადიდებელი ეკლესიის საქმიანობას, კონკრეტულად კანონს მორწმუნეთა გრძნობების დაცვის შესახებ, რომელიც ახლახან მიიღეს. „როდესაც ეკლესიის „გლავკი“ გადაწყვეტს, თუ რომელი გრძნობები უნდა იქნეს დაცული, დაიწყება მორწმუნეთა დევნა „არასწორი“ გრძნობების გამო. დევნა ადრინდელზე სასტიკი იქნება. მორწმუნეების მიმართ ანგარიშის გასწორებას დაარქმევენ რელიგიური გრძნობების დაცვას. დაიწყება ინკვიზიცია. როგორც ყოველთვის, ვერავისთან ვიჩივლებთ.“

მამა პავლე ადელგეიმი ასევე შემწყნარებლობის დასაცავად გამოდიოდა და ადამიანების „მსხვერპლშეწირვას“ ეწინააღმდეგებოდა. მას არ ესმოდა იმ „მორწმუნეების“, რომლებიც თავს მართლმადიდებლებს უწოდებდნენ და „Pussy Riot“-ის გოგონებზე შურისძიებას და მათ „სისხლს“ მოითხოვდნენ.

დაღუპულის ნათესავებს და ახლობლებს ფსკოვის ოლქის გუბერნატორმა ანდრეი ტურჩაკმა მიუსამძიმრა: „სასულიერო პირის მკვლელობა საზოგადოების გამოწვევაა, მორალის საფუძვლების, ზნეობის და რწმენის შებღალვა. პავლე ადელგეიმის ტრაგიკულმა დაღუპვამ ყველას უნდა შეგვახსენოს, რომ ჩვენ ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეთ.“

სამძიმარი გამოხატა მოსკოვის და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილმა. რუსეთის საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ „უწმინდესი პატრიარქი კირილი დამწუხრებულია მამა პავლე ადელგეიმის ტრაგიკული დაღუპვის გამო და ლოცულობს მისი სულისთვის“. „სასულიერო პირი, ამჟამად არსებული ინფორმაციის თანახმად, მოძღვრის მოვალეობის შესრულებას ემსხვერპლა, მაშინ როცა მზად იყო, ნებისმიერ ადამიანს დახმარებოდა.“

„ვახშმის წვეულება„ და მისი სტუმრები

პირველი გვერდიდან

რასაკვირველია, ფემინისტური არტი არ შემოიფარგლა ტრადიციული სახელოვნებო ენით და მხატვრობის გარდა მუზეუმებსა და გალერეებში ქალი ავტორების ვიდეოარტი, ინსტალაციები, პერფორმანსიც გაჩნდა. ისეთმა ტრადიციულად საოჯახო ქალურმა დარგებმა“ კი, როგორც არის ნაქსოვი, პეჩვორკი, აპლიკაცია, ნაქარგი სახლის კარადების უჯრებიდან საგამოფენო დარბაზების კედელებზე გადაინაცვლა.

ჯუდი ჩიკაგო მულტიმედიურ ხელოვნებაში პროფესიული დაინტერესების გარდა პოლიტიკურად აქტიური ადამიანი გახლავთ და მუშაობდა იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ადამიანთა უფლებებსა და სამოქალაქო თავისუფლებებს იცავენ. იგი დაიბადა ინდუსტრიულ ჩიკაგოში, ისეთ ოჯახში, სადაც ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეა უჩვეულო არ იყო; ხატვა 3 წლის ასაკიდან დაიწყო, ხოლო 8 წლისა უკვე ჩიკაგოს ახალგაზრდულ სახელოვნებო სკოლაში სწავლობდა. მოგვიანებით ჯუდიმ გადაწვიტა მისი მამის გვარი კოენი მოეშორებინა, რადგანაც თვლიდა, რომ ქალი მამის თუ ქმრის გვარისგან უნდა გათავისუფლებულიყო და გვარად მშობლიური ქალაქის სახელწოდება აიღო.

1970 წელს კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯუდი ჩიკაგომ სხვა 15 ქალ სტუდენტთან ერთად სამხატვრო სტუდია დაიქირავა, სადაც თავისუფალი არტფემინისტები ნაწარმოებებს მამაკაცების ჩარევის გარეშე“ ქმნიდნენ. მისი სლოგანი იყო „არ ვწუწუნებთ, არამედ ვცვლით“. ფაქტობრივად, ჯუდი ჩიკაგომ პირველი ფემინისტური არტკლასები ჩაატარა და შექმნა კიდეც ფემინისტური ხელოვნების პროგრამაც და შემდგომ საუნივერსიტეტო კურსებში თუ აშშ-ის საგამოფენო დარბაზებში ფემინისტურ სახელოვნებო პროექტებსაც დაუდო დასაბამი. ხელოვნებაზე ბჭობის გარდა ეს 16 ქალიანი“ გაერთიანება იყო ერთგვარი ფსიქოთერაპიული წრეც“, სადაც ადამიანები ღიად გამოხატავდნენ თავიანთ გრძნობებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ერთმანეთს უსმენდნენ და ბევრ საერთოს პოულობდნენ. იმ პერიოდში საუნივერსიტეტო ფემინისტური იდეების გარშემო ფემინისტური არტგალერეები, კლუბები, ასოციაციები იქმნებოდა; ტარდებოდა სემინარები, ისახებოდა სასწავლო არტპროგრამების შემუშავებისა და განვრცობის გეგმები. 2 წლის შემდეგ არტფემინიზმის ტალღამამ კალიფორნიიდან ნიუ იორკში გადაინაცვლა, სადაც, ფაქტობრივად, ერთ ძლიერ მეინსტრიმად ჩამოყალიბდა, რომელმაც ხელოვნებაზე პატრიარქალური წარმოდგენები შეარყია და, ქალებს იმის ნათელი მაგალითი თუ როლური მოდელი აჩვენა, რომ მათაც შეუძლიათ თავინთ ნიჭი ჩრდილიდან გამოიყვანონ და ხელოვნებაში საკუთარი თვალსაზრისი გაატარონ. შეიძლება ითქვას, რომ არტფემინიზმი ომისშმდგომი პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიან სახელოვნებო - სამოქალაქო აქტივიზმად გადაიქცა, რომელიც მნიშვნელოვანი გახლდათ არა მხოლოდ როგორც კულტურული ფენომენი თავისი უდაოდ რევოლუციური მიმდინარეობებით, არამედ იმითაც, რომ ქალებს უკვე სერიოზული ესთეტური, ინტელექტუალური და პოლიტიკური გავლენა ჰქონდათ როგორც სახვით ხელოვნებაზე, ასევე ზოგადად ამერიკულ კულტურაზე. ეს ის პერიოდია, როცა უნივერსიტეტების სახელოვნებო კურსებზე არტფენმინიზმის რაობის, ისტორიისა და მნიშვნელობის შესახებ ლექციები იკითხება და ქალები ერთობლივ გამოფენებს ინტენსიურად აწყობენ. 1978 წელს ჯუდი ჩიკაგო ქმნის არამომგებიან ორგანიზაციას სახელწოდებით ყვავილის მეშვეობით“, რომლის მიზანია ხელოვნების მნიშვნელობის პოპულარიზაცია და ხელოვანი ქალების მხარდაჭერა. თავის სახელოვნებო კარიერის განმავლობაში ჯუდი ჩიკაგოს არსოდეს შეუწყვეტია პედაგოგიური მოღვაწეობა, წიგნების წერა და ისეთ ისტორიულ თემებთან დაახლოება, როგორიცაა, მაგალითად, ჰოლოკოსტი.

1974 - 1979 წლებში ჯუდი ჩიკაგომ სხვა მხატვრებთან ერთად შექმნა ფემინისტური ხელოვნების ეპოქალური მნიშვნელობის სიმბოლო, რომელიც 1 038 ქალს წარადგენს. კომპოზიციას ვახშმის წვეულება“ ეწოდა და, როგორც ამბობენ, მის შექმნაზე 250 ათასი დოლარი დაიხარჯა. სამუშაოს დასაწყისში ავტორმა მის ჩანაფიქრს 25 ქალი, რომელიც ცოცხლად შეჭამეს“ უწოდა, მოგვიანებით კი მთავარ მოქმედ გმირ ქალთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. სამკუთხედის ფორმად განლაგებულ 15 მეტრამდე მაგიდაზე დევს 39 ცალი საშოს ფორმის სხვადასხვა ფერისა და მოყვანილობის კერამიკული ყვავილი - თეფში, რომელსაც თან ნაქარგი სუფრა ქალის ე.წ. დროშისა და გერბის გამოსახულებით ახლავს. თითოეული თეფში - პეპელა“ მითოლოგიისა და დასავლური კულტურის წარმომადგენლის ერთ კონკრეტულ ქალთან ასოცირებული გამოხატულებაა. თავად სამკუთხა მაგიდა კი ანბანის მეცამეტე ასო M-ს ჰგავს, მაგიდის ქვეშ კი კერამოგრანიტის იატაკზე, რომელსაც მემკვიდრეობის იატაკი“ ენოდება, იმ 999 ქალის სახელი და გვარია დაფიქსირებული, რომელიც ისტორიის ანალებმა შემოგვინახა. ხელოვნების ამ კონცეპტუალურ შედევრს ქმნიდნენ არა მარტო პროფესიონალები, არამედ მოხალისეები, როგორც ქალები, ასევე მამაკაცები - სულ 500 -მე ადამიანი. სხვა მხატვრებთან და მოსახლისეებთან მუშაობის დროს ჯუდი ჩიკაგოს პრინციპი გახლდათ ის, რომ ექსპოზიციის შექმნა არაიერარქიული დავქემდებარებით წარმართულიყო. ვახშმის წვეულების“ (იგი ასევე შეიძლება გადაითარგმნოს, როგორც საიდუმლო სერობაც“) კონცეპტია ქრისტეს უკანასკნელი ვახშმის ანალოგი, როცა საბედისწერო ღამეს სატრაპეზო“ მაგიდასთან 13 ადამიანი შეიკრიბა (ვახშმის წვეულების“ მაგიდაზე 3 -ჯერ 13 თეფშია). ექსპოზიციას თან ახლავს ბანერები, თითოეულ ქალის ვინაობის ამსახველი ტექსტები, გარკვეულწილად ფემინიზმის ისტორიის განმარტებითი ბეჭდვითი სანფორმაციო სივრცე, სტენდი და წიგნებიც, რომლებიც გამოფენას არა მხოლო ხელოვნების ნიმუშად, არამედ შემეცნებით მოვლენადაც გადააქცევს.

ვახშმის წვეულებამ“ გამოჩისათანავე ცოცხალი დებატები გამოიწვია, იგი გამბედაობისთვის, ტაბუს მოხსნისთვის და ისტორიული ნარატივის ორიგინალური გადმოცემისთვის მოეწონათ და ამავე დროს მას მწარედ აკრიტიკებდნენ მხატვრისა და სხვა შემქმნელების ცუდი გემოვნების, დაუფარავი ეგოს, კიჩის, ნახევრადპორნოგრაფიის, საკმარისზე მეტი ვაგინის გამომზეურების“ გამო და ხანმოკლე სიცოცხლეს უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ უამრავი კრიტიკული გამოხმაურების მიუხედავად გამოფენამ მოგზაურობა დაიწყო როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ, თუმცაღა რიგმა ამერიკულმა გალერეებმა უარი თქვა ვახშმის წვეულების“ მასპინძლობაზე. ექსპოზიციამ სამი კონტინენტი მოიარა და დღეისათვის ბრუკლინის მუზეუმის მუდმივმოქმედ გამოფენას წარმოადგენს. 2007 წელს ვახშმის წვეულებამ“ მუზეუმის ელიზაბეთ ა. სეკლერის ფემინისტური არტის ცენტრში დაიდო ბინა და ერთგვარად ქალთა ხელოვნებისა თუ ხელოვნებაში ქალთა თვალთახედვის ინსტიტუციონალიზაციის სიმბოლოდაც გადაიქცა.

მაგიდაზე მოცემულ თითოეულ თეფშს უნიკალური ნაქარგი ინდივიდუალური მართკუთხა სუფრა, დასადები ფირფიტა, დანა, კოვზი, ჩანგალი, სასასმისე თასი, ხელსახოცი ახლავს. სამკუთხა მაგიდის ერთი ფრთაზე წარმოდგენილია წინაისტორიული პერსონაჟები ვიდრე რომის იმპერიამდე (პირველყოფილი ქალღმერთი, ნაყოფიერების ქალღმერთი, სოფია, ამაზონი, საფო და სხვა), მეორეზე - ქრისტიანიბიდან ვიდრე რეფორმაციამდე (მარსელა, წმინდა ბრიგიტა, თეოდორა, ქრისტინე დე პიზანი, იზაბელა დ ესტი და სხვა) და მესამეზე - ამერიკიდან ვიდრე ქალთა რევოლუციამდე (ანა ჰატჩინსონი, მერი უოლსტოუნკრაფტი, ემილი დიკინსონი, მარგარეტ სანგერი, ჯორჯია ო კიფი და სხვა). იატაკზე კი: ანტიგონე, ოლიმპია, ლუკრეცია, მარია მაგდალინელი, არაგონის იოლანდა, ფლავია ჯულია ჰელენა, ჯულიანა ბერნერსი, გერტრუდა სტეინი, ჰარიეტ თუბმენი, სარა სიდონსი, კაროლინ პიჩლერი, მარია ბოივინი, ვიტორია კოლონა, ელეონორა რუზველტი, ნადეჟდა კრუპსკაია, რეიჩელ კატზ-ნელსონ-შაზარი, სოფია დრინკერი, რინე ვივიენი, რებეკა ვესტი, როზა ლუქსემბურგი, ელენე ბლავაცკაია და სხვა.

ვახშმის წვეულების“ ჩანაფიქრის მთავარი გზავნილი გახლდათ მოწვეული სტუმრების“ თანასწორობისა და მნიშვნელობის ხაზგასმა. ამავე დროს იგი უპირველესად საიდუმლო სერობის“ რეინტერპრეტაციაა და, მეორეს მხრივ, ქალთა ტრადიციული უნარ-ჩვევის - საკერავი ნემსით ოპერირების (როგორც ქალის ცხოვრებისა და მიღწევის აღწერის საშუალების) ხაზგასმა. ჯუდი ჩიკაგო ამბობს, რომ ვახშმის წვეულება“ ევქარისტიის მეტაფორას იყენებს და საინტერესოა ის, თუ როგორ მოძრაობს აუდიოტრია ამ ქალების - გნებავთ მოქიცულების - გარეშემო, რომლებიც თავისი ცხოვრებითა და შრომით ქალებს ემსახურებოდნენ. დარბაზში გამოფენის დამთვალიერებლები უერთდებიან ქალთა ამ მემკვიდრეობას, ამავე დროს გრძნობენ სევდას, რაც ახლავს იმის გაცნობიერებას, რომ ქალთა ეს საგანძური დიდი ხნის განმავლობაში იყო დამალული, დანაწევრებული და უარყოფილი“. ვახშმის წვეულება“ ვიზუალურად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში ქალთა მონაწილეობისთვის ისტორიულ ბრძოლას გამოხატავს და მისი მიზანია დასრულდეს უმოქმედობის მიმდინარე ციკლი. გაგებისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის პროცესი თაობიდან თაობაში გადადის და თუ ისინი (ქალები) იმარჯვებენ, მათ ამ მიღწევას ძალიან ხშირად მალევე ივიწყებენ და ანადგურებენ“.

არსებობს სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც აშშ-ისა და ევროპის დიდ მუდმივ კოლექციებში ქალი მხატვრები მხოლოდ 3-5 პროცენტით არიან წარმოდგენილნი. ეს შემაშფოთებელია, - ამბობს ჯუდი ჩიკაგო. - ჩვენს ინსტიტუციებშიც ქალები მამაკაცების სასწავლო კურსის დამატება არიან“. ვახშმის წვეულების“ ავტორმა, რომელიც თავადვე ლამის 30 წელი ეძებდა ბინას 1 038 ქალისთვის“ კი ასე გაიხსენა მისი პირადი გამოცილება თუ როგორ ძლევდა შინაგან და გარეგან ბარიერებს. უპირველესად მას ძალიან უნდოდა ხელოვნება შეექმნა, ხოლო როცა გრძნობდა, რომ იგნორირებული იყო და მისი არავის ესმოდა, არტფემინისტი იხსენებდა, თუ რა გამოიარეს მისმა წინაპარმა ქალებმა იმისთვის, რომ ჯუდი ჩიკაგოს ის პირობები ჰქონოდა, რაც მას დღეს აქვს და კიდევ: ვიხსენებდი ელიზაბეთ ბლექმორს - აშშ-ში პირველ ქალს, რომელმაც სამედიცინო ხარისხი მიიღო. მას არ ელაპარაკებოდნენ, ქუჩაში აფურთხებდნენ და მე ვფიქრობდი - თუ მას შეეძლი ამის გაკეთება, მეც შემიძლია“.

ია მერკვილაძე,
ნიუ იორკი, აშშ

ამინდი

აბასთუმანი	19°C - 6°C
ბათუმი	26°C - 18°C
ათენი	36°C - 24°C
ზუგდიდი	28°C - 15°C
თბილისი	32°C - 19°C
ქუთაისი	28°C - 17°C
სამტრედია	28°C - 17°C
ანტალია	37°C - 24°C
ბაქო	32°C - 23°C
ბუდაპეშტი	30°C - 16°C
ერევანი	34°C - 19°C
ვენა	29°C - 19°C
კიევი	26°C - 17°C
თელ-ავივი	30°C - 23°C
ლონდონი	24°C - 14°C
მოსკოვი	21°C - 13°C
მიუნხენი	29°C - 16°C
ნიუ-იორკი	26°C - 19°C
პრაღა	29°C - 17°C
სტამბული	31°C - 22°C
გორი	29°C - 13°C
სენაკი	28°C - 17°C
წინანდალი	32°C - 16°C
გონიო	25°C - 17°C
მანგლისი	24°C - 13°C
გუდაური	17°C - 8°C
ბოლნისი	32°C - 16°C
ბაკურიანი	20°C - 6°C
საჩხერე	28°C - 11°C
მცხეთა	33°C - 16°C
ურეკი	27°C - 18°C
ხაშური	27°C - 13°C
ზესტაფონი	28°C - 11°C
ფოთი	27°C - 18°C
ცხინვალი	27°C - 11°C
შატილი	15°C - 8°C
რუსთავი	33°C - 19°C
თელავი	32°C - 16°C
კასპი	32°C - 17°C
ბიშკეკი	32°C - 19°C
დუბაი	41°C - 32°C
დუშანბე	39°C - 23°C
ვილნიუსი	25°C - 14°C
იოჰანესბურგი	25°C - 13°C
იოჰანესბურგი	27°C - 13°C
კაირო	36°C - 22°C
კიშინიოვი	28°C - 14°C
კოპენჰაგენი	26°C - 16°C
ოსლო	27°C - 16°C
რეიკიავიკი	18°C - 13°C
რიგა	26°C - 14°C
სტოკჰოლმი	24°C - 13°C
ტაშკენტი	39°C - 24°C
ჰელსინკი	25°C - 14°C
ბარსელონა	30°C - 21°C
ბუქარესტი	33°C - 19°C
ვარშავა	27°C - 16°C
ლისაბონი	27°C - 16°C
მადრიდი	36°C - 18°C
ნეაპოლი	31°C - 22°C
სოფია	31°C - 11°C
სტრასბურგი	27°C - 14°C
ჰამბურგი	27°C - 16°C
ფრანკფურტი	28°C - 16°C
ახალციხე	24°C - 11°C
უშგული	17°C - 8°C
დავით-გარეჯი	29°C - 16°C

ვალუტის კურსი

AED	10 არაბეთის საამიროების დირჰამი	4.5105
AMD	1000 სომხური დრამი	4.0407
AUD	1 ავსტრალიური დოლარი	1.5310
AZN	1 აზერბაიჯანული მანათი	2.1119
BGN	1 ბულგარული ლევი	1.1152
BRL	1 ბრაზილიური რიალი	0.7422
BYR	10000 ბელორუსული რუბლი	1.8719
CAD	1 კანადური დოლარი	1.6023
CHF	1 შვეიცარიული ფრანკი	1.7642
CNY	10 ჩინური იუანი	2.6994
CZK	10 ჩეხური კრონა	0.8392
DKK	10 დანიური კრონი	2.9261
EGP	10 ეგვიპტური გირვანქა	2.3661
EUR	1 ევრო	2.1822
GBP	1 ინგლისური გირვანქა	2.5419
HKD	10 ჰონკონგური დოლარი	2.1355
HUF	100 უნგრული ფორინტი	0.7394
ILS	10 ისრაელის შეკელი	4.6390
INR	100 ინდური რუპია	2.7732
IRR	10000 ირანული რიალი	0.6737
ISK	100 ისლანდიური კრონი	1.3732
JPY	100 იაპონური იენი	1.6576
KGS	100 ყირგიზული სომი	3.3810
KWD	1 ქუვეითური დინარი	5.8147
KZT	100 ყაზახური ტენგე	1.0825
LTL	10 ლიტვური ლიტი	6.3258
LVL	1 ლატვიური ლატი	3.1081
MDL	10 მოლდავური ლეი	1.2938
NOK	10 ნორვეგიული კრონი	2.7924
NZD	1 ახალზელანდიური დოლარი	1.3220
PLN	10 პოლონური ზლოტი	5.1682
RON	10 რუმინული ლეი	4.9390
RSD	100 სერბიული დინარი	1.9252
RUB	100 რუსული რუბლი	5.1271
SEK	10 შვედური კრონი	2.5539
SGD	1 სინგაპურული დოლარი	1.3090
TJS	10 ტაჯიკური სომონი	3.4743
TMT	10 თურქმენული მანათი	5.8126
TRY	1 თურქული ლირა	0.8651
UAH	10 უკრაინული გრივნა	2.0726
USD	1 აშშ დოლარი	1.6566
UZS	1000 უზბეკური სომი	0.7871
ZAR	10 სამხრეთაფრიკული რანდი	1.6846
KRW	1000 სამხრეთ კორეული ვონი	1.4831
QAR	10 ყატარული რიალი	4.5497

სასაქონლო ბირჟა

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%
S&P/TSX Composite Index	12,680.60	-64.78	-0.51%
Nasdaq Composite Index	3,575.84	-3.43	-0.10%
Dow Jones Industrial Average	15,503.70	-64.09	-0.41%

აფიშა

კინოთეატრები

ამირანი

წყევლა
რეჟისორი: ჯეიმს ვანი
როლებში: ვერა ფარმიგა, პატრიკ უილსონი, რონ ლივინგსტონი, ლილი ტეილორი, შენლი კასველი
ჟანრი: საშინელება ტრილერი
ხანგრძლივობა: 112 წთ.
გახმოვანება: რუსული

რუსთაველი

რედი 2
რეჟისორი: დინ პარიზო
როლებში: ჰელენ მირენი, ჯონ მალკოვიჩი, ბრიუს უილისი, მარი-ლუიზ პარკერი, ქეთრინ ზეტა-ჯონსი, ბიონ ჰონ ლი, ენტონი ჰოპკინსი
ჟანრი: მძაფრსიუჟეტიანი კრიმინალური კომედია
ხანგრძლივობა: 116 წთ.
გახმოვანება: რუსული

წყნარი ოკეანის ტიტანები 3D
რეჟისორი: გილერმო დელ ტორო
როლებში: ჩარლი ჰანემი, იდრის ელბა, ჩარლი დეი, რონ პერლმენი, ნილ უიტლი, დევიდ რიჩმონდ-პეკი, ტაილერ სტევენსონი
ჟანრი: მძაფრსიუჟეტიანი სათავგადასავლო
ხანგრძლივობა: 131 წთ.
გახმოვანება: რუსული

თეთრი სახლის დაცემა
რეჟისორი: როლანდ ემერიხი
როლებში: ჩენინგ ტატუმი, ჯეიმი ფოქსი, ჯეისონ კლარკი, რიჩარდ ჯენკინსი, მეგი გილენჰალი, ჯო კინგი, ჯეიმს ვუდსი
ჟანრი: მძაფრსიუჟეტიანი დრამა
ხანგრძლივობა: 131 წთ.
გახმოვანება: რუსული

მონსტრების უნივერსიტეტი 3D
რეჟისორი: დენ სკანლონი
როლებში: ნათან ფილიონი, ჯონ გუდმენი, სტივ ბუჩემი, ჯონ კრასინსკი, ოუბრეი პლაზა, ჰელენ მირენი
ჟანრი: ანიმაცია სათავგადასავლო კომედია
ხანგრძლივობა: 110 წთ.
გახმოვანება: ქართული

რა მოხდა კიევში
რეჟისორი: ირაკლი ჩხიკვაძე
როლებში: მერაბ ჭიქაშვილი, თორნიკე გოგრიჭიანი, გიორგი ლორია, სანდრო გაბილაია
ჟანრი: კომედია
ხანგრძლივობა: 90 წთ.
გახმოვანება: ქართული

კინოს სახლის კინოდარბაზი

კანონგარეშე
რეჟისორი: ჯიმ ჯარმუში
როლებში: ტომ უეიტსი, ჯონ ლური, რობერტო ბენინი, ნიკოლეტა ბრასკი, ელენ ბარკინი, ბილი ნილი
ჟანრი: კრიმინალური დრამა, კომედია
ხანგრძლივობა: 105 წთ.
გახმოვანება: რუსული

გამოფენები

თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)

გამოფენა „თაობები“. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება, სამი თაობის, 70-80-90-ანი წლების ორმოცდათხუთმეტი ქართველი მხატვრის ნამუშევარი

სიონის ქ. 8 ტელ: 292-32-27
(მუზეუმი მუშაობს ყოველდღე ორშაბათის გარდა 11 სთ-დან 17.00 სთ-მდე)

თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)

გამოფენა „თაობათა დიალოგი“. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება 1960 წლიდან 2012 წლის ჩათვლით ლიტვაში მოღვაწე პროფესიონალი ფოტოგრაფების ნამუშევრები

სიონის ქ. 8 ტელ: 292-32-27
(მუზეუმი მუშაობს ყოველდღე ორშაბათის გარდა 11 სთ-დან 17.00 სთ-მდე)

კროსვორდები



3						4		
			9	5				1
		8				7		2
	2			9		5	7	3
				6				
8	1	5		2			9	
5		3				2		
2				1	7			
		4						7

								8
			3			4	2	
	4	5		1				
5		8	4			1		
3			9		2			5
		6			3	8		9
				7		3	8	
	3	1			9			
6								

		9	5		2		8	
6								9
		5		6	9			
	6		1				9	2
8	9				3		7	
			4	1		8		
7								5
	4		3		7	1		

იგორ კოკოშკოვი: ევრობასკეტს ფორმის პიკში უნდა შევხვდეთ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა გუშინ ის შემადგენლობა დაასახელა, რომელმაც იტალიაში საქართველოს ღირსება უნდა დაიცვას. საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის იგორ კოკოშკოვის გადაწყვეტილებით, 19-კაციან შემადგენლობას ოთხი კალათბურთელი უკანახაზელები - რევაზ როგავა და მერაბ ბოქოლიშვილი, ფორვარდი ბექა ჩიკვილაძე და ცენტრი რიჩარდ მათიაშვილი გამოაკლდნენ.

იტალიაში გამგზავრებამდე საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კალათბურთის ფედერაციის ვებ-გვერდისთვის კომენტარი გააკეთა:

„შეკრების მეორე ეტაპი, რომელიც თბილისური ფიზმომზადების შემდეგ ნაკრებმა სლოვენიაში გამართა, ძალიან სასარგებლო იყო. მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო საქართველოს კალათბურთის ფედერაციას, რომელმაც დიდი სამუშაო გასწია იმ პირობების შესაქმნელად, რომელშიც ახლა ვართ და ჩვენს საქმეს ვაკეთებთ. კმაყოფილი ვარ ყველა იმ მოთამაშით, რომელიც შეკრებაზეა. ძალიან კარგი ახალგაზრდები გვყავს. ვწუხვარ, რომ ოთხ მათგანთან დამშვიდობება მოგვიწია, მაგრამ სხვანაირად არ შეიძლება. მადლობა მათ გაწეული სამუშაოსთვის.

ზაზა ფაჩულიას და თორნიკე შენგელიას დარი მოთამაშეების არყოფნა ევროპის ნებისმიერი ნაკრებისთვის დიდი დანაკლისი იქნებოდა. საქართველოსთვის კი ნბა-ს ორი მოთამაშის გამოკლება განსაკუთრებით მძიმეა. თუმცა სხვა გზა არ გვაქვს. მჯერა, რომ ნაკრებში დარჩენილი მოთამაშეები თავიანთ მაქსიმუმს გაიღებენ და ეცდებიან, ეს დიდი დანაკლისი შეავსონ.

ქართველები ყოველთვის გამარჯვებისთვის იბრძვიან და არც ტრენტოს საერთაშორისო ტურნირი იქნება გამონაკლისი. წინ ერთი თვე გვაქვს და ეს პერიოდი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რათა დავხვეწოთ ჩვენი თამაში. ევრობასკეტს ფორმის პიკში უნდა შევხვდეთ“.

...ტრენტინოს ტურნირის შემდეგ, ქართველები სლოვენიურ პოდჩეტრტეკში დაბრუნდებიან და 13 აგვისტომდე სპორტკომპლექს „ტერმე ოლიმიაში“ შეკრებას გააგრძელებენ.

საქართველოს ნაკრები:

გიორგი ცინცაძე (ბუდველნიკი, უკრაინა), ოთარ ფხაკაძე (ვერმონტი, NCAA, აშშ), მანუჩარ მარკოიშვილი (გალათასარაი, თურქეთი), ბესო ლეჟავა (არმია), დუდა სანაძე (სან დიეგო, NCAA, აშშ), რიკი ჰიკმანი (მაკაბი, ისრაელი), ანატოლი ბოისა (არმია), ლევან ფაცაცია (ოლიმპი), ვიქტორ სანიკიძე (მონტეპასკი, იტალია), ნიკოლოზ ცქიტიშვილი (ჩემპვილი, ლიბანი), ბექა ბურჯანაძე (კახასოლი, ესპანეთი), ნიკა მეტრეველი (პაფონი, იტალია), გიორგი შერმადინი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), გიორგი შარაბიძე (არმია), ლიუკ ზელერი (ფინიქსი, NBA, აშშ).

საერთაშორისო ტურნირი. ტრენტო. იტალია. 7-9 აგვისტო

(მითითებულია თბილისის დრო)

7 აგვისტო, 22:30
იტალია - საქართველო
8 აგვისტო, 20:00
საქართველო - პოლონეთი
9 აგვისტო, 20:00
ისრაელი - საქართველო

ბაჩანა არაბულს «აინტრახტში» აკვირდებიან

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების კაპიტანი, ბაჩანა არაბული, რომელმაც ახლახანს 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა ფრანკფურტის „აინტრახტში“ ვარჯიშობს. გერმანულ კლუბს არაბულის შესახებ ყველა ინფორმაცია აქვს და ახლა უკეთ გასაცნობად და დასაკვირვებლად ვარჯიშებზე უხმო.

„აინტრახტმა“ ბუნდესლიგური სეზონი მეექვსე ადგილზე დაასრულა და ნაბიჯით აცდა ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას. გუნდს არმინ ფე წვრთნის.

კალათბურთში საკონტინენტთაშორისო თასი აღადგინეს

ფიბა-მ, ფიბა-ამერიკამ და ევროლიგამ საკონტინენტთაშორისო თასის აღდგენა გადაწყვიტა. ფიბა-ს ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, 2013 წელს თასისთვის ამერიკის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული - ბრაზილიური «პინეიროსი» და ევროლიგის ჩემპიონი - ბერძნული «ოლიმპიაკოსი» იბრძოლებენ. თასის მფლობელი ორი შეხვედრის ჯამში 4 და 6 ოქტომბერს სან-პაულუს «ბარუერი არენაზე» გაირკვევა.

საკონტინენტთაშორისო თასის ბოლო გათამაშება 1996 წელს შედგა.

ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების წინ 16-წლამდელებმა ღია ვარჯიში გამართეს

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები დღეს გამთენიისას ბოსნიაში გაემგზავრა, სადაც 8-18 აგვისტოს ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონის მატჩები გაიმართება. სარაევოში შეკრებილი 22 ნაკრები იმ სამი საგზურისთვის იბრძოლებს, რომელიც მათ გაისად ელიტარულ, A დივიზიონში თამაშის უფლებას მისცემს.

გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა 16-წლამდელებმა 9 საკონტროლო მატჩი გამართეს, საიდანაც 6 მოიგეს. ქართველები ესტონეთს (56:76, 61:43), ბულგარეთს (63:62, 69:67) და ჰოლანდიას (68:65, 51:85) ორ-ორჯერ შეხვდნენ , ხოლო ლიეჟის საერთაშორისო ტურნირზე ბელგიას (61:67), პორტუგალიას (78:75) და შვეიცარიას (91:62) დაუპირისპირდნენ.

ევროპის ჩემპიონატზე საქართველო D ჯგუფში მოხვდა, სადაც ჩვენი მეტოქეები ბელარუსი, უნგრეთი, ჩეხეთი, ლუქსემბურგი და ავსტრია იქნებიან. გათამაშების სისტემა ასეთია: თითოეული ჯგუფის ორი საუკეთესო მომდევნო ეტაპზე გავა და I-VIII ადგილებისთვის იბრძოლებს. ჯგუფში 2-3 ადგილზე გასულები კი 9-16 ადგილებისთვის განაგრძობენ ბრძოლას.

საქართველოს ნაკრების კალენდარი ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე (თბილისის დრო)

8 აგვისტო, 17:30
საქართველო - ჩეხეთი

9 აგვისტო, 18:15
უნგრეთი - საქართველო

10 აგვისტო, 22:00
საქართველო - ლუქსემბურგი

11 აგვისტო, 19:30
ბელარუსი - საქართველო

12 აგვისტო, 19:30
ავსტრია - საქართველო

ასე რატომ თამაშობს როჯერ ფედერერი?

როჯერ ფედერერს აქვს პრობლემები და ეს ვიცით. როჯერ ფედერერმა ეს პრობლემები უნდა მოაგვაროს და ეს როჯერმაც მშვენივრად იცის. როჯერ ფედერერმა პრობლემები უნდა გადახაზოს. როგორც არაერთხელ გაუკეთებია და ეს ფედერერის მოწინააღმდეგეებმაც იციან. და ფედერერი იღებს კიდევ ერთ გამოწვევას. როჯერმა მოსაგები უნდა მოიგოს, თუ ეს მოსაგები ფედერერის არის. და ეს მოსაგები როჯერმა სეზონის ბოლო მეიჯორზე, ამერიკულ გარჩევებზე უნდა მოიგოს. ყველაფერი სხვისთვის კარგად მიდის და როჯერმა ეს სტერეოტიპი უნდა დაამსხვრიოს. ფედერერი ყოველთვის ყველა სტერეოტიპზე ზემოთ იდგა და როჯერი კლასიკაა. თუ ამერიკაში ახალი როჯერი ჩავა, ყველაფერი შეიცვლება. ან ფედერერი სხვა, არაფედერერულ დონეზე დაეშვება. ეს ცუდია. ჩოგბურთისთვის. ფედერერისთვის. ყველასთვის.

გასული კვირის ტურნირებმა და მათში სერენა უილიამსისა და როჯერ ფედერერის მონაწილეობამ ექსპერტებს ბევრი საფიქრალი გაუჩინა. ამერიკელი მიმომხილველი პიტერ ბოდო საინფორმაციო სააგენტოს ESPN-ის საიტის საკუთარ ბლოგზე აანალიზებს ფედერერის თამაშს და აკეთებს მომავალში მისი გამოსვლების პროგნოზს.

„Australian Open-ისა და უიმბლდონის შემდგომ კვირებში, ამ ტურნირებზე გადაღლილი წამყვანი ჩოგბურთელები, როგორც წესი, არ ჩანან. „როლან გაროსის“ შემდეგ მათ არ შეუძლიათ მისცენ საკუთარ თავს ამის უფლება, ვინაიდან უიმბლდონია, რომელიც ტარდება პრინციპულად განსხვავებულ საფარზე. წლევანდელი წელი, ეტყობა, გამონაკლისია, რაც იმას ნიშნავს, რომ, მართალია, სპორტსმენები შემოდგომაზე ისევ დაიწყებენ წუწუნს გაჭიმულ სეზონზე, თვითონ სისტემა საათივით აწყობილია და შესანიშნავ პირობებს უქმნის როგორც მოთამაშეებს, ისე გულშემატკივრებს.

ასე, Australian Open-ის შემდგომმა ტურნირებმა რაფაელ ნადალს მისცეს ბრწყინვალე შესაძლებლობა თავისი ტრავმირებული მუხლების შესამოწმებლად და ევროპული გრუნტის სეზონისთვის ფსიქოლოგიური მდგრადობის აღსადგენად. გასულ კვირას მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა სერენა უილიამსმა ასევე გადაწყვიტა ბოსტადას გრუნტზე წავარჯიშება (ნაწილობრივ იმის საჩვენებლად, რომ უიმბლდონის მარცხი შემთხვევითობა იყო), ხოლო ფედერერი, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, ისევ გამოჩნდა ჰამბურგში, სადაც მას არაერთი გამარჯვება უზეიმია.

ამ კვირაში სერენა ისვენებს, როჯერი კი ისევ გამოჩნდა ტურნირზე, ამჯერად გშტაადტში, შვეიცარიული ალპების კურორტზე, რომელიც მოცულია ჯეიმს ბონდის ფილმების ეგზოტიკური ატმოსფეროთი. რა სჭირს როჯერს? ნუთუ აუცილებელია მმობლებმა წაართვან ჩოგანი და აიძულონ დაისვენოს? რეალურად ის უბრალოდ იყენებს ყველა შესაძლებლობას, სატურნირო პირობებში გამოცადოს თავისი ახალი ჩოგანი, დასარტყმელი ფართობით 98 დმ2, 8%-ით მეტი, ვიდრე ნებისმიერი ჩოგანი, რომლითაც ის თამაშობდა თავისი კარიერის განმავლობაში. ჯერჯერობით დაბეჯითებით არ შეიძლება იმის თქმა, რომ მას ეს გამოსდის. ეს ჩოგანი ულაპარაკოდ აძლევს ფედერერს უპირატესობას მისი მდიდარი არსენალიდან ნებისმიერი ელემენტის გამოყენებისას. მეორე მხრივ, მას ახლა სჭირდება დარტყმის მომენტის ახლებური შერჩევა. ახლა როჯერი ჰგავს ავტომრბოლს, რომელიც ცდის მანქანას უფრო მძლავრი ძრავით, მაგრამ უფრო ფაქიზი მართვის სისტემით. ყველაზე ძნელი ამ სიტუაციაში ის კი არ არის, შეძლებს თუ არა როჯერი ისწავლოს ახალი ჩოგნით სარგებლობა, არამედ ის, თუ რამდენად სწრაფად შეძლებს მის უნაკლოდ ხმარებას.

როჯერი სწრაფად უახლოვდება ოცდათორმეტწლიან ზღურბლს. ამდენად, სავსებით შესაძლებელია, ასეთი დატვირთვით US Open-ს შეხვდეს ფიზიკურად გამოფიტული. რასაკვირველია, ფედერერი ფედერერია და სანამ თამაშობს, მისი გაუთვალისწინებლობა დაუშვებელია, თუმცა, ისიც შესაძლებელია, რომ მსოფლიო რეიტინგის მეხუთე საფეხურამდე ჩამოქვეითებულმა როჯერმა სეზონის დასასრული მთლიანად მიუძღვნას ახალი ჩოგნის „მოთვინიერებას“, რათა სრული მზადყოფნით შეხვდეს 2014 წლის სეზონს.

მისი ბიოლოგიური საათიც ჩვეულებრივად მუშაობს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ განსხვავებულ რეჟიმში; ფედერერს არ ჰქონია სერიოზული ტრავმები და ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის მუდამ ითამაშებს, ყოველ შემთხვევაში, კიმიკო დატე-კრუმის ასაკამდე.

სხვათა შორის, ფედერერის თანამეამულეები არ არიან ერთადერთნი, ვინც დაზარალდება ამ კვირაში (როგორც უნდა გაგიკვირდეთ, გშტაადტის ტურნირის ტრანსლაცია შვეიცარიული ტელევიზიით არ გადაიცემა) - ჩოგბურთის ამერიკელი მოყვარულებიც შეიძლება დაზარალდნენ, რადგან როჯერს აქვს საფუძველიც და შესაძლებლობაც, თავისი სურვილით გამოტოვოს ამერიკული ჰარდული ტურნირებიდან ნებისმიერი.

შესაძლოა, ჩვენ გავდივართ ჩოგბურთის ისტორიის რთულ და მრავალშრიან პერიოდს, მაგრამ ეჭვს არ იწვევს, რომ საჩოგბურთო სამყაროში სერიოზული საქმეები წყდება არა მარტო დიდი სლემის რვა კვირაში, არამედ მთელი სეზონის განმავლობაში.“

როჯერ ფედერერს აქვს პრობლემები და ეს ვიცით. როჯერ ფედერერმა ეს პრობლემები უნდა მოაგვაროს და ეს როჯერმაც მშვენივრად იცის. როჯერ ფედერერმა პრობლემები უნდა გადახაზოს. როგორც არაერთხელ გაუკეთებია და ეს ფედერერის მოწინააღმდეგეებმაც იციან. და ფედერერი იღებს კიდევ ერთ გამოწვევას. როჯერმა მოსაგები უნდა მოიგოს, თუ ეს მოსაგები ფედერერის არის. და ეს მოსაგები როჯერმა სეზონის ბოლო მეიჯორზე, ამერიკულ გარჩევებზე უნდა მოიგოს. ყველაფერი სხვისთვის კარგად მიდის და როჯერმა ეს სტერეოტიპი უნდა დაამსხვრიოს. ფედერერი ყოველთვის ყველა სტერეოტიპზე ზემოთ იდგა და როჯერი კლასიკაა. თუ ამერიკაში ახალი როჯერი ჩავა, ყველაფერი შეიცვლება. ან ფედერერი სხვა, არაფედერერულ დონეზე დაეშვება. ეს ცუდია. ჩოგბურთისთვის. ფედერერისთვის. ყველასთვის.


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
MAX
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
myVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 საათი
allMovies.ge
Pink